

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-11/2
1982

30

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

1.1982

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1982, № 1

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



1. 1982

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი
ТБИЛИСИ

სარედაქციო კოლეგია: ა. გუნია (რედაქტორი), პ. გუგუშვილი, ი. დოლიძე, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, ი. მიქელაძე, ი. ფუტყარაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ხოშტარია (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гунья А. Л. (редактор), Гугушвили П. В., Долидзе И. С., Лилуашвили Т. С., Микеладзе И. С., Путкарадзе Я. В., Тодуа Г. С., Хоштария Т. С. (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия.

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ეკონომიკისა და საბარტლის სერია, 1962.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, შახარაძის ქ. № 14

Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14

ტელეფონი 93-22-60 **телефон**

გადეცა წარმოებას 25.12.81; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.6.82; შეკვ. № 3937; ანაწყობის ზომა 7×111/2; ქალაქის ზომა 70×1081/16; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 10.2; საარტიტეხო-საგამომცემლო თაბახი 7,9; უე 05610; ტირაჟი 730;

ფასი 85 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

ეკონომიკა

ა. გუნია, პარტიის მიერ დასახული კურსით (საქართველოს სსრ კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების 10 წლისთავისათვის)	5
ბ. შექვაბიძე, თაქსიუფალი დროის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის განსაზღვრისათვის	11
პ. სარჩიშვილი, ა. ჩიქოვანი, ი. რუხინაშვილი, მეცნიერულ კადრებზე მოთხოვნის პროგნოზირების მეთოდის შესახებ	20
გ. შალვა, თ. ბრელიძე, სამეურნეო-საბაზო-სოციალისტური და აგროსამრეწველო კოოპერირება — სკკპ აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულება	33
დ. სინაძე, საქართველოს სსრ ერთობლივი მატერიალური მარაგის სტრუქტურის სრულყოფის საკითხები	39
ი. არჩვაძე, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმის განსაზღვრისათვის	48

სამართალი

ბ. როგავა, საქართველოს რევოლუციური კომიტეტების სამეურნეო-ორგანიზაციული ფუნქციის შესახებ	62
გ. კალანდია, მოსახლეობისაგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის ტიპობრივი ხელშეკრულების სრულყოფის ზოგიერთი საკითხი	71
დ. კეკელიძე, სამართალი და სასამართლო ორგანიზაცია ოსმალთა-ყიზილბაშების პერიოდის ქართლში	79

რეცენზია, ინფორმაცია, ჟრონიკა

ფუნდამენტური ნაშრომი სოციალიზმის პოლიტიკური მეთოდის შესახებ	96
ვახტანგ VI სამართლის ახალი რუსული თარგმანი	101

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИКА

А. Л. ГУНИЯ. Курсом, намеченным партией (к 10-летию постановления ЦК КПСС по Тбилисскому горкому партии)	5
Э. Г. МЕКВАБИШВИЛИ. К вопросу определения свободного времени, как экономической категории	11
Р. А. САРЧИМЕЛИЯ, Е. А. ЧИКОВАНИ, И. М. РУБИНШТЕЙН. О методе прогнозирования потребностей в научных кадрах	20
Ш. Г. МЕЛАДЗЕ, Т. А. БРЕЛИДЗЕ. Межхозяйственное и агропромышленное кооперирование — основное направление аграрной политики КПСС	33
А. О. СИСВАДЗЕ. Вопросы совокупных материальных запасов Грузинской ССР	39
И. С. АРЧВАДЗЕ. К вопросу об определении критерия эффективности общественного производства	48

ПРАВО

Х. П. РОГАВА. О хозяйственно-организаторской функции революционных комитетов Грузии	62
М. Х. КАЛАНДИЯ. Некоторые вопросы усовершенствования типового договора закупок сельхозпродукции у населения	71
М. М. КЕКЕЛИА. Право и судопроизводство в Карталинском царстве перед его оккупацией ирано-турецкими захватчиками (1723—1747 гг.)	79

РЕЦЕНЗИЯ, ИНФОРМАЦИЯ, ХРОНИКА

Фундаментальный труд о методе политической экономии социализма	96
Новый русский перевод законов Вахтаंगा VI	101



ავთანდილ გუნიას

პარტიის მიერ დასახული კურსით

(საქართველოს სსრ კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების 10 წლისთავისთვის)

85
17358

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილების ისტორიული მნიშვნელობა და ეკონომიკური არსი ის არის, რომ მან გარდატეხა მოახდინა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში, ხელი შეუწყო პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ლენინური სტილისა და ნორმების, ეკონომიკის მართვის ფორმებისა და მეთოდების აღდგენას. ამასთან დაკავშირებით, პრინციპულად ახალ საფუძველზე გარდაქმნა მუშაობა საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში, იგი სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა და გამოხატავდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თავისებურებებსა და მოთხოვნებს. ეს კონკრეტულად გამოიხატა საქმიანობის, შეუპოვრობისა და მიზანსწრაფვის გაძლიერებით, შრომითს კოლექტივებში მაღალი პრინციპულობისა და ურთიერთმომთხოვნელობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარების შექმნით. შესამჩნევად გაიზარდა მშრომელთა აქტიურობა საწარმოო საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გაძლიერდა ორგანიზატორული მუშაობა დისციპლინის განმტკიცების, კადრების სწორად განაწილებისათვის. უფრო ფართოდ და ღრმად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. არაკომპეტენტურობას, რესპუბლიკის ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული პრობლემების გადაწყვეტას სუბიექტივიზმის პოზიციებიდან, რასაც უარყოფითი, მძიმე შედეგები მოჰყვა, პრინციპულად პარტიული, კოლექტიური, მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომა დაუპირისპირდა. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის განმტკიცებას, მათი გარკვეული დამოკიდებულების ლიკვიდაციას. კერძომესაკუთრული ტენდენციების გავრცელებას, დატაცებას, მექრთამეობას, მუქთახორობას, მომხვეჭელობასა და სხვა ანტისოციალისტურ, ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს დაუპირისპირდა პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, სოციალისტური საკუთრებისადმი მომჭირნე დამოკიდებულება, შეურთველობა ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებისადმი ყველა დონეზე. ყოველივე ეს საქართველოს მშრომელთა ფართო მასების საარსებო მოთხოვნილებად იქცა.

განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე ანტისოციალისტურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში ნასების ამგვარი აქტიუზაცია კანონზომიერია. იგი ორგანულად უკავშირდება ეკონომიკური და საზოგადოებრივ — სოციალური განვითარების იმ ამბლებულ ამოცანებს, რომლებიც მომწიფებულ სოციალისტურ საზოგადოებას ახასიათებს. ამიტომ, ეკონომიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ყველა დონეზე რეალური სოციალიზმის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ წარმოშობილი თითოეული ტენდენცია ვერ იქნება სიცი-

დ. მარტ. ია. ს. ს. ს.
სსრ სახელმწიფო
რესპუბლიკური
საბჭოთა კომუნისტური



ცხლისუნარიანი, ვერ იმოქმედებს ხანგრძლივად. მაგრამ ამ ტენდენციათა გამოვლინებებს ჩანასახშივე შეურიგებლად, უკომპრომისოდ უნდა ვებრძოლოთ. სწორედ ამ გზას დაადგა და ამ გზით გაუძლეა მშრომელთა ფართო მასებს საქართველოს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა გახდა სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის თითოეული დარგის, კაპიტალური მშენებლობის, ტრანსპორტისა და მომსახურების სფეროში. ამ მიზნით, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის მუდმივ ფორმად და ქმედით მეთოდად იქცა ისეთი კოხკრეტული ორგანიზაციულ-პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება, რომელთა მიზანია როგორც სამრეწველო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და მშენებლობების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა თუ ჩამორჩენის დაძლევა, ისე საწარმოო დავალებების წარმატებით შესრულება, მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა განვითარებული სოციალიზმის ისეთ დამახასიათებელ თავისებურებებს, როგორიცაა მეცნიერულ-ტექნიკური აღჭურვა, მართვის სისტემის მუდმივი სრულყოფა, საწარმოო სიმძლავრეთა მოქმედებისა და ათვისების ვადების შემცირება, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების უფრო რაციონალური გამოყენება, გაწყობილობის მოცდენისა და საშუალო დროის დანაკარგების შემცირება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ზრდა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საფუძველზე. სწორედ ამ მიმართულებით ხორციელდებოდა სოციალისტური შევიბრების ფართოდ განვითარებისა და გაძლიერების, წარმოების ფარული რეზერვების გამოვლენის, მშრომელთა ეკონომიკური ცოდნის დონის ამაღლების ღონისძიებანი. მნიშვნელოვნად გაძლიერდა კონტროლი ადგილებზე საქმის ფაქტობრივი ვითარებისადმი. იმის გათვალისწინებით, რომ განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე არსებითად გაძლიერდა სახალხო მეურნეობის მართვის დემოკრატიული საფუძველები, შესამჩნევად ამაღლდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლი. ხორციელდებოდა საიშისო ღონისძიებანი, რომ უფრო სრულად რეალიზებულყო სახელმწიფოს მიერ მათთვის მინიჭებული უფლებანი და უფლებამოსილებანი ეკონომიკის განვითარებაზე მათი ზემოქმედების გასაძლიერებლად. მშრომელთა ფართო მონაწილეობა წარმოების მართვაში, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების მუშაობის გაუმჯობესება და აქტივიზაცია, მშრომელთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღზრდაში მუშათა კრებების როლისა და მნიშვნელობის ამაღლება, სოციალისტური შევიბრებისადმი უფრო კონკრეტული ხელშეწყობა რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, საწარმოო ამოცანათა წარმატებული შესრულების უმნიშვნელოვანესი ბერკეტები გახდა.

აქედან გამომდინარე, რესპუბლიკაში მეტი ყურადღება დაეთმო ცალკეული, ანტისაზოგადოებრივი მოვლენებით ყველაზე უფრო დაზიანებულ საწარმოთა საამქროების, განყოფილებების, უბნებისა და ბრიგადების კოლექტივებს, რათა დაყარებულყო მათში მკაცრი წესრიგი, რომ თითოეულ მუშასა და მოსამსახურეს ეზრუნა წარმოების სრულყოფისათვის, აქტიურად მიეღო

მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უფრო სრულად გამოეყენებინა აამუშაო დრო, აქტიურად ებრძოლა გაცდენების, დაგვიანებების, სამუშაოდან თვითნებური წასვლის წინააღმდეგ, მუშებისა და სპეციალისტების დენადობის შემცირებისათვის. ამასთან ერთად, ყურადღება მიექცა თვით საწარმოო პროცესის სრულყოფას, დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გაუმჯობესებას, გამომუშავების ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების შემუშავებასა და წარმოებაში დანერგვას, მუშებისა და სპეციალისტების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, წარმოების კულტურის ამაღლებას, აღრიცხვისა და ანგარიშგების მოწესრიგებას. ამგვარი ღონისძიებანი სხვადასხვა დონეზე ხორციელდებოდა — საწარმოებში, დარგებში, მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში — მათ წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით.

რესპუბლიკური პარტიული და სახელმწიფო ორგანოები ერთობ ფართო და მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდნენ არაჩანსალი ეკონომიკური და სოციალური მოვლენების ლიკვიდაციისათვის. მართლაც, არ შეიძლებოდა მუშაობის რომელიმე ცალკეული უბნით შემოფარგვლა ეკონომიკური და სოციალური პრობლემებისადმი იმ ყოველმხრივი, კომპლექსური, მიზანდასახული და სისტემური მიდგომის გარეშე, რომელიც მიმართული იყო რესპუბლიკის საზოგადოებრივი განვითარების შემაფერხებელ მოქმედებათა წინააღმდეგ. საქირო იყო შეუპოვარი, თანამიმდევრული საქმიანობა, არსებითი დადებითი ძვრების მიღწევა შედარებით მოკლე ვადაში. ძვირფასიანად უნდა აღმოფხვრილიყო ეკონომიკური პირობები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ნეგატიური მოვლენების გავრცელებასა და გაღრმავებას სამეურნეო ცხოვრებაში. მით უმეტეს, რომ ისინი უკვე განვითარების ძალზე მრავალმხრივ — ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მხარეებს ეხებოდნენ. მთელ რიგ შემთხვევებში ცალკეული საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და სამინისტროების მაგალითებით განზოგადდა საზოგადოებრივი განვითარების ძალზე მწვავე პრობლემები.

ისეთი საკითხები, როგორიცაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვა, შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალური, კოლმეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის სასარგებლო გამოყენება, და, უწინარეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება, კოლმეურნეობისა და მიწის კანონმდებლობის წესდების დარღვევათა ლიკვიდაცია, კოლმეურნეობის, სოფლის მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ყოველმხრივი ამაღლება საბჭოთა სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის განხორციელების უაქტუალურეს საკითხებად იქცა.

70-იან წლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო და მნიშვნელოვანი სამომავლო წანამძღვრები შეექმნა შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების იმ ღონისძიებათა დაგეგმვასა და განხორციელებას, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არა მარტო მეურნეობის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებაში, არამედ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მუშაკთა მაღალი მორალური თვისებების აღზრდაში, სოციალისტური საწარმოების, დაწესებულებებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების კოლექტივებში ჯანსაღი, შემოქმედებითი კლიმატის შექმნაში. ეკონომიკური და სოციალური



განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავება და განხორციელება ყველა-
დონეზე, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საერთო-
სახელმწიფო გეგმიდან მოყოლებული თითოეული საწარმოო კოლექტივის შე-
საბამის გეგმებამდე, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების კანონზო-
მიერებად იქცა. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკაში ხორციელდება ღონის-
ძიებანი, რომელთა მიზანია ყველა დონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების
გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში ბოლო წლების მანძილზე
შეძენილი გამოცდილების ფართო გავრცელება, როგორც საზოგადოებრივი
წარმოების ეფექტიანობის და მისი საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების
ამაღლების მიზნით, ისე თითოეული ცალკეული მშრომელის ცხოვრების დონის
შესამანევი ამაღლების, მისი სოციალურ-კულტურული მოთხოვნილების დაკ-
მაყოფილებისა და იდეური წრთობის მიზნით.

რესპუბლიკაში გაშლილი სოციალისტური შევიბრება დაუქვემდებარდა
სწორედ იმ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გა-
დაწყვეტას, რომელიც გამომდინარეობს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტე-
ტისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ (1976 წ.) სკკპ ცენ-
ტრალური კომიტეტის დადგენილებებიდან.

სოციალისტური შევიბრება რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალური და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში არნახულად ქმე-
დითი, კონკრეტული, მიზანდასახული გახდა. საზოგადოებრივ ურთიერთობის
ამ ფორმას სულ უფრო ნაკლებად ახასიათებს ფორმალიზმი და პარადულობა.
ამან მნიშვნელოვანწილად ამაღლა არა მარტო სოციალისტური შევიბრების
შედეგიანობა, რაც კონკრეტულად გამოიხატა ეკონომიკური მაჩვენებლების
ამაღლებით და მათი სოციალური შედეგების გაუმჯობესებით, არამედ გაზარდა
სოციალისტური შევიბრების როლი, მისი ავტორიტეტიც. ამიტომ, სოციალის-
ტური შევიბრება უფრო მასობრივი გახდა, მან თანდათანობით მოიკვა სახალ-
ხო მეურნეობის მატერიალური და არამატერიალური დარგები, საზოგადოებ-
რივი წარმოების, რესპუბლიკის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ყვე-
ლა სფერო. ამასთან, უფრო მრავალფეროვანი გახდა მშრომელთა მონაწილეო-
ბა სოციალისტურ შევიბრებაში.

ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანათა გადაწყვეტაში რესპუბლიკის პარ-
ტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ჰხარედ მოგვევლინა
იდეოლოგიური მუშაობის ორგანული შერწყმა საარსებო სამეურნეო ამოცა-
ნებთან. ეკონომიკურ ღონისძიებათა იდეოლოგიური უზრუნველყოფა იქცა რე-
ალურად მოქმედ ძალად, რომელიც არსებითს ზეგავლენას ახდენს ეკონომი-
კური და სოციალური განვითარების მიმდინარეობაზე. იდეოლოგიური მუშაო-
ბა მჭიდროდ დაუახლოვდა პრაქტიკას, ცხოვრების კონკრეტულ პირობებს.

მატერიალურისა და სულიერის, მატერიალურ და სულიერ ღირებულება-
თა ერთიანობა არასოდეს გამოვლენილა ესოდენ ნათლად როგორც ეკონომი-
კური და სოციალური განვითარების ახლანდელ ეტაპზე. ამიტომ, იდეოლოგი-
ური მუშაობის დაყენებაში არსებული ნაკლოვანებების კრიტიკაც, მასში არ-
სებული ფორმალიზმის ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაც სულ უფრო მე-
ტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიან-
ობის ამაღლებაში. სწორედ ამ მიმართულებით არსებითი როლი შეასრულა
ბრძოლამ პროტექციონიზმის, მუქთახორობის, სახელმწიფო და შრომის დის-
ციპლინის დარღვევის წინააღმდეგ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა.

და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლისათვის. თანამიმდევრულად ხორციელდებოდა მუშაობა მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის, მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. წინა პლანზე იქნა წამოწეული ადამიანის — საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობის გადამწყვეტი ფაქტორის პრობლემა, მისი ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტი. ანტისა-ზოგადოებრივი მოქმედების ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლა, უწინარეს, ყოვლისა, უნდა ქცეულიყო ბრძოლად პიროვნებისათვის, ადამიანებისათვის, მისი ნამდვილი სახისათვის სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეკონომიკის პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფა ხორციელდებოდა როგორც მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ზედა რგოლებში, ისე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რაიონების ეკონომიკის ხელმძღვანელობის საშუალო რგოლებში, საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოთა კოლექტივების ხელმძღვანელობის ქვედა რგოლებში საგვეგო დავალებათა შესასრულებლად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მთლიანად მოიწონა კურსი, რომელიც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ აიღო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის დადგენილებაში დასახულ ამოცანათა შესასრულებლად.

ეკონომიკაში მომხდარმა ამგვარმა ძვრებმა უფრო მყარი საძირკველი ჩაუყარა რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას, ამის კონკრეტული გამოხატულებაა საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება შესაბამისი საშუალო-საკავშირო მაჩვენებლების მიხედვით.

1972 წლის შემდეგ განხორციელებულმა საქართველოს ეკონომიკის არსებითი გაჯანსაღების ღონისძიებებმა შესაბამისი ნაყოფი გამოიღო: გაიზარდა რესპუბლიკის საწარმოო, ეკონომიკური და სამეცნიერო პოტენციალი; შესამჩნევ რაოდენობრივ ზრდასთან ერთად არსებითი თვისებრივი ცვლილებები მოხდა ეკონომიკაში, ზოგადად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში; მყარი საწარმოო-ეკონომიკური პირობები შეიქმნა საიმისოდ, რომ 80-იან წლებში საბოლოოდ დაიძლიოს შედარებითი ეკონომიკური ჩამორჩენა, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ახასიათებდა საქართველოს.

X ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით შესრულება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების იმ მიზანდასახული მუშაობის შედეგი გახდა, რომელსაც ეწეოდნენ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დასახვეწვად. ეს სამუშაო შესაბამისად შეფასდა სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, რომელშიც ნათქვამია: „რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის მნიშვნელოვან დაჩქარებას მიაღწია საქართველოს კომპარტიამ“.

ხემალიწმულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ამჟამად მატერიალური წარმოების ყველა დარგში ტექნიკური აღჭურვილობის, საწარმოო სიმძლავრეებისა და სხვა ეკონომიკური თუ საწარმოო მაჩვენებლების, აგრეთვე საწარმოო პერსონალის მდგომარეობის მიხედვით ისეთ დონეზე იმყოფება, რომელსაც შეუძლია იმ ამოცანათა წარმატებით შესრულება, სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ რომ დასახეს და რომლებიც აისახა სსრ კავშირის ეკონომიკური და

და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში.

ყოველივე ეს საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენაში გამეფებული უდიდესი შრომითი აღფრთოვანების და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იმ დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია, რითაც ხასიათდება საქართველო 70-იან და 80-იან წლებში. „თქვენი მიღწევები რესპუბლიკის ასიათასობით მშრომელის შეუპოვარი მუშაობის შედეგია. ეს აგრეთვე შედეგია იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობისა, რომელსაც ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის ბიურო და მისი მეთაური ამხანაგი შევარდნაძე, რომლის ენერგია, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა და პრინციპულობა ყველამ კარგად ვიცით და ვაფასებთ“¹. ამხანაგ ლ. ი. ბრეჯნევის მიერ რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობის, მათი ავანგარდის — საქართველოს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს საქმიანობის ეს შეფასება თვალნათლივ ადასტურებს მათს მიზანდასახულ საქმიანობას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულ ეკონომიკური და სოციალური განვითარების რთულ პრობლემათა გადასაწყვეტად.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ უდიდესი მათორგანიზებელი როლი შეასრულა საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საქმოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბებულ ნეგატიურ მოვლენათა მიზანდასახული აღმოფხვრის საქმეში. ამ დადგენილების მიღებიდან გასული ათი წლის განმავლობაში რესპუბლიკის მშრომელები მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მეთაურობით შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის ყველა სფეროში ეწევიან პრინციპულ, უკომპრომისო ბრძოლას ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი, სოციალისტური საზოგადოების პრინციპების საწინააღმდეგო გამოვლინებების წინააღმდეგ, რის შედეგადაც რესპუბლიკაში შესამჩნევად გაჯანსაღდა მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება, მნიშვნელოვნად ამაღლდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლები, არსებითად განმტკიცდა მეურნეობრიობის სოციალისტური მექანიზმის წარსულში მოსუსტებული ცალკეული რგოლები, იხვეწება (თვისებრივად იცვლება) სახალხო მეურნეობის მართვის ფორმები და მეთოდები.

გრძელდება საქართველოს ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფის მტკიცე კურსი, რომელიც ითვალისწინებს, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ შექმნილ გამოცდილებას. თანმიმდევრულად ხორციელდება ამხანაგ ლ. ი. ბრეჯნევის მითითება, რომ მნიშვნელოვნად უნდა „გავაუმჯობესოთ ეკონომიკის მართვა ჩვენი ზალხის გამოცდილებისა და შემოქმედებითი ინიციატივის გათვალისწინებით, ყოველივე იმ საუკეთესოს გათვალისწინებით, რაც ახასიათებს სოციალიზმის მოძმე ქვეყნების, აგრეთვე განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების გამოცდილებას“².

¹ ლ. ი. ბრეჯნევი, სიტყვა საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

² ლ. ი. ბრეჯნევი, გამოსვლა კრემლში გამართულ დარბაზობაზე, ვახ. „პრავდა“, 20. 12.81. გვ. 2.

ალგუჯა მამაიაშვილი

თავისუფალი დროის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის
ბანსაზღვრისათვის

მატერიალური წარმოების განუწყვეტელი ზრდა თანამედროვე მაღალ-მწარმოებლური ტექნიკის საფუძველზე, მეცნიერების უშუალო მწარმოებელ ძალად გადაქცევა არა მარტო ძირეულად ცვლის ადამიანის შრომითი საქმიანობის ხასიათს, არამედ ახალ მოთხოვნებსაც აყენებს მისი პიროვნების წინაშე. ადამიანის პიროვნების პრობლემის სულ უფრო მეტად გადაქცევა იდეოლოგიურ-ალმზრდელობითი პრობლემიდან (რასაც იგი აქამდე წარმოადგენდა უპირატესად) ეკონომიკურ პრობლემად, განვითარებული სოციალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი კანონზომიერებაა. ბუნებრივია, რომ ასეთი მდგომარეობა ადამიანის პიროვნების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიკონომიკურ კვლევას განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს. ამ საკითხებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია თავისუფალი დროის საკითხი. ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ამოღება, მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება, რაც სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების უზენაესი მიზანია, უშუალოდ და მოკიდებული არა მარტო სამუშაო დროის გამოყენებაზე, არამედ თავისუფალ დროზეც, მის სიდიდეზე, შინაარსსა და სტრუქტურაზე. თუ სამუშაო დრო საზოგადოებრივი სიმდიდრის წყარო და მისი სუბსტანციაა, თავისუფალი დრო, კ. მარქსის აღნიშვნით, „თვით არის სიმდიდრე“¹. თავისუფალი დროის ფორმირების კანონზომიერებების, მისი გამოყენების ტენდენციების შეცნობას და შეგნებულ გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი წარმოების ზრდის წყაროებისა და რეზერვების გამოვლინების, მატერიალური წარმოების არასაწარმოო სფეროს ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფის საქმეში.

დროითი მაჩვენებლების და, მათ შორის, თავისუფალი დროის ფართოდ ჩართვა სახალხო მეურნეობის გეგმური ხელმძღვანელობის პროცესში, სამეურნეო მექანიზმის შემდგომ სრულყოფასა და მისი ქმედუნარიანობის ამოღებას ემსახურება.

თავისუფალი დრო სოციალისტურ საზოგადოებაში მრავალ ფუნქციას ასრულებს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ფუნქცია, რომელიც ყველაზე ზოგადად მწარმოებელი ძალებისა და სოციალისტური (კომუნისტური) წარმოებითი ურთიერთობების განვითარებაში მდგომარეობს. უფრო კონკრეტულად კი, თავისუფალი დრო ასრულებს შემდეგ ეკონომიკურ ფუნქციებს: ა) უზრუნველყოფს წარმოების პროცესში მუშა-

¹ კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი, ნაწილი III), თბ., 1975, გვ. 306.

ძალის დანახარჯების აღდგენას (მწარმოებლურად გამოყენებული ადამიანის სასიცოცხლო ენერჯის შევსებას), აკლავწარმოებს შრომის უნარს, ქმნის უშუალო მწარმოებელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის აუცილებელ პირობებს; ბ) თავისუფალი დრო, როგორც „უდიდესი მწარმოებელი ძალა“ (კ. მარქსი) აქტიურად ზემოქმედებს სამუშაო დროზე, იწვევს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, ამრავლებს საზოგადოების მატერიალურ და სულიერ დოვლათს; გ) თავისუფალი დროის რაოდენობრივი გადიდება და მისი რაციონალური გამოყენება ხელს უწყობს მშრომელებს შორის ამხანაგობის, თანამშრომლობისა და კოლექტივიზმის ურთიერთობების განმტკიცებას, სახალხო მეურნეობის პირველად სტრუქტურულ რეგლში — საწარმოს (საწარმოო გაერთიანების) კოლექტივში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას; დ) ხელს უწყობს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, სოციალისტური შრომის კომუნისტურ შრომად გადაზრდას; ე) თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება ხელს უწყობს აგრეთვე მშრომელთა ნორმალურ დასვენებას და გართობას, ადამიანის პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას და ამგვარად გვევლინება როგორც კომუნისტური ფორმაციის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება.

ჩამოთვლილი ფუნქციები მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და თითოეული მათგანი დიდი მნიშვნელობისაა. ამასთანავე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ორი მათგანის, როგორც უფრო მნიშვნელოვანის გამოყოფა, ესენია:

1. თავისუფალი დრო, როგორც მთავარი მწარმოებელი ძალის-მუშაკის განვითარების აუცილებელი პირობა და 2. თავისუფალი დრო, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ძირითადი მიზნის რეალიზაციის პირობა. მარქსიზმ-ლენინიზმი წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესებს დიალექტიკურ ერთიანობაში განიხილავს და ემყარება წარმოების პრიმატის პრინციპს. თავისუფალი დროის ეკონომიკური ფუნქციების ჩამოთვლისას, ჩვენ მის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად წარმოების პროცესში დახარჯული სულიერი და ფიზიკური ენერჯის აღდგენა ე. ი. მუშაძალის კვლავწარმოება აღვნიშნეთ. ამ გზით თავისუფალი დრო, როგორც მოხმარების სფერო, ჩაირთვება კვლავწარმოების პროცესში. მუშაძალის კვლავწარმოება წარმოების პროცესის განუწყვეტელი განმეორების აუცილებელი პირობაა. ისე როგორც წარმოების საშუალებათა განუწყვეტელი განახლება. ამ თვალსაზრისით პროდუქტების წარმოება და პირადი მოხმარება გამოდის როგორც რაღაც გარკვეული მთლიანობის ორი სხვადასხვა მომენტი. ეს მთლიანობა განიხილება როგორც „საერთოდ წარმოება“ განსხვავებით „საკუთრივ წარმოებისაგან“ ანუ „უშუალო წარმოებისაგან“. კვლავწარმოების, როგორც წარმოების განუწყვეტელი პროცესის მიერ თავის თავში განაწილების, გაცვლის, მოხმარების მომკველობა იმას ნიშნავს, რომ წარმოებითი ურთიერთობებია არა მარტო უშუალოდ წარმოების სფეროში ჩამოყალიბებული ურთიერთობები, არამედ აგრეთვე ის ურთიერთობები, რომლებიც აღმოცენდებიან განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში. მთელი რიგი წარმოებითი ურთიერთობები ასახვას პოულობენ თავისუფალ დროში და თუ სამუშაო დრო წარმოებით ურთიერთობებს ასახავს, თავისუფალ დროში აისახება ასეთივე ურთიერთობები, ოღონდ არა უშუალოდ წარმოების პროცესში, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

თავისუფალი დროს, როგორც ეკონომიკური კატეგორიის ანალიზი უნდა წარმოართოს გარკვეულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე. კატეგორია სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში არსებობს, ამიტომ იგი, ერთის მხრივ, ზოგადსოციალური შინაარსის მქონეა და, მეორე მხრივ, გამოვლინების სპეციფიკური ფორმები გააჩნია. პოლიტიკური ეკონომიის უშუალო შესწავლის საგანს აღნიშნული ფორმები წარმოადგენს. ამასთანავე, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით თავისუფალი დროს ზოგად კანონზომიერებებსა და საერთო დამახასიათებელ ნიშნებს. ზოგადისა და კონკრეტულის დიალექტიკური ერთიანობის პრინციპს ემყარება დროითი ეკონომიკური კატეგორიების და მათ შორის თავისუფალი დროის მარქსისტული ანალიზი. „კაპიტალის“ პირველ ტომში კ. მარქსი გამოყოფს თავისუფალი დროის ზოგადსოციალურ ნიშნებს და აღნიშნავს: „თავისუფალი დრო არის დრო ადამიანის განათლებისათვის, ინტელექტუალური განვითარებისათვის, სოციალური ფუნქციების შესრულებისათვის, ნათესაურ-მეგობრული ურთიერთობისათვის, ფიზიკური და ინტელექტუალური სასიცოცხლო ძალების ლალი თამაშისათვის“². კ. მარქსი იძლევა აგრეთვე თავისუფალი დროის კატეგორიის კონკრეტულ ანალიზს სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში³⁻⁴.

თავისუფალი დროის ეკონომიკური კატეგორიის განსაზღვრამდე უწინარეს ყოვლისა საჭიროა განიმარტოს თავისუფალი დროის ცნება. დროის ბიუჯეტის კ. მარქსისტული კლასიფიკაციიდან გამომდინარე აკად. პ. გუგუშვილი მიუთითებს, რომ თავისუფალი დრო არასამუშაო დროის მხოლოდ გარკვეული ნაწილია და სრულიად სამართლიანად, ჩვენი აზრით, აკრიტიკებს იმ მეცნიერებს, რომლებიც თავისუფალ დროს არა სამუშაო დროსთან აიგივებენ⁵.

თავისუფალი დროს ეკონომიკური კატეგორიის ანალიზი, სოციალისტურ საზოგადოებაში და განსაკუთრებით განვითარებული სოციალიზმის პირობებში, აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას, მის ძირითად მიმართულებებს, ტენდენციებსა და პერსპექტივებს. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია უაღრესად რთულ და მრავალმხრივ შემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი წარმოების პროცესზე, იწვევს მისი ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზისა და სტრუქტურის ცვლილებას. აღნიშნული ცვლილებები განაპირობებს უშუალო მწარმოებლის ადგილისა და როლის შეცვლას წარმოების სისტემაში და განსაზღვრავს ახალი ტიპის უშუალო მწარმოებლის ჩამოყალიბების აუცილებლობას. თანამედროვე წარმოების მუშაკს, ღრმა პროფესიულ ცოდნასთან ერთად უნდა გააჩნდეს ფართო ხასიათის საერთო განათლება, მაღალი ინტელექტი, ლოგიკური აზროვნებისა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

რაც შეეხება პერსპექტივას, შედარებით ახლო პერიოდში გათვალისწინებულია საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის დასრულება და იმ პროცესების სრული ავტომატიზაცია, რომლებიც ამისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით უკვე სათანადოდაა მომზადებული. უფრო შორეულ

² კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, თბ., 1954, გვ. 335.

³ კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი, ნაწილი III), თბ., 1975, გვ. 306—307.

⁴ Маркс К. и Энгельс Ф. Соч. т. 43, ч. 2, с. 215—222.

⁵ პ. გუგუშვილი, სოციოლოგიური ეტიუდები, თბ., 1970, გვ. 135.

მომავალში კი ნეარაუდევია, რომ ავტომატიზაცია მოიცავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს და შეიქმნება მართვის ერთიანი ავტომატიზებული სისტემა ავტომატიზებულ წარმოებაში უშუალო მწარმოებელი წარმოების პროცესის მეთვალყურედ და მარეგულირებლად, მანქანების შემქმნელად და მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პროგრამების შემდგენელად მოგვევლინება. ბუნებრივია, რომ აღნიშნული ფუნქციების შესრულება მხოლოდ ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების მქონე ადამიანს შეეძლება.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით ნაჯარნახევი უშუალო მწარმოებლის მრავალმხრივი განვითარების აუცილებლობის რეალიზაცია მწარმოებლური შრომის პროცესშიაც ხორციელდება, მაგრამ მხოლოდ ამ სფეროთი არ შემოიფარგლება. იგი აქტიურად მიმდინარეობს თავისუფალ დროში და მრავალი თავისებურებებით ხასიათდება. თუ წარმოების პროცესში მუშაძალის განვითარება ძირითადად პროფესიონალურ ჩარჩოებშია მოქცეული, თავისუფალი დრო არის დრო ვართობისათვის, მოცალეობისათვის, თავისუფალი საქმიანობისათვის, სადაც „იწყება ადამიანის ძალის განვითარება, რომელიც წარმოადგენს თვითმიზანს, თავისუფლების ჭეშმარიტ სამეფოს“⁶. სამუშაო დრო თავისუფალი დროის საფუძველი და მისი არსებობის აუცილებელი პირობაა, მაგრამ მათი ურთიერთკავშირი მხოლოდ ამით არ ამოიწურება, თავისუფალი დრო აქტიურად ზემოქმედებს სამუშაო დროზე. თავისუფალი დროის გადიდება და მისი რაციონალური გამოყენება სამუშაო დროის ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს და ეს იმიტომ, რომ თავისუფალი დრო, როგორც უდიდესი მწარმოებელი ძალა, აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მატერიალური წარმოების სფეროში ჩართული შრომის ეფექტიანობაზე⁷. მიზანშეწონილად მიგვაჩნია თავისუფალ დროზე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ზეგავლენის კიდევ ერთი პრინციპული მიმართულების გამოყოფა. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოწინავე მიღწევების წარმოებაში ფართოდ დანერგვის საფუძველზე მეცნიერები ვარაუდობენ, რომ უკვე უახლოეს პერსპექტივაში შრომის მწარმოებლურობა 3—5-ჯერ, ხოლო უფრო შორეული მომავლისათვის 20—30-ჯერ გაიზრდება⁸.

ეს, ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, სამუშაო დროის ხანგრძლივობას 3—4 საათამდე შეამცირებს⁹. შესაბამისად გაიზრდება მშრომელთა არასამუშაო და მასში თავისუფალი დრო. ეს უკანასკნელი თავისი აბსოლუტური სიდიდით გადაჭარბებს სამუშაო დროს და ადამიანის საქმიანობის მნიშვნელოვან სფეროდ გადაიქცევა. ბუნებრივია, რომ აღნიშნული განსაკუთრებული აქტუალობით აყენებს მომავალში თავისუფალი დროის გადიდებისა და მისი ახლებურად ორგანიზაციის საკითხს.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია აქტიურ ზემოქმედებას ახდენს, როგორც მთელი კვლავწარმოების პროცესზე, ისე მის ისეთ მომენტზე, როგორიცაა მუშაძალის კვლავწარმოება და ამ უკანასკნელის უმნიშვნელოვანესი პირობა-

⁶ ე. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეთხე ტომი, ნაწილი III), თბ., 1975, გვ. 449

⁷ Маркс К. и Энгельс Ф. Соч. т. 46, ч. II, с. 221.

⁸ Лебедев Г. Материально-техническая база коммунизма (социально-экономическая модель), М., 1978, с. 240

⁹ Неценко А. В. Социально-экономические проблемы свободного времени при социализме. М., 1975, с. 165.

თავისუფალი დრო. ეხებოდა რა თავისუფალი დროის განმსაზღვრელ როლს მუშაობის კვლავწარმოებაში, კ. მარქსი აღნიშნავდა: „დღის ერთი ნაწილის განმავლობაში ძალამ უნდა დაისვენოს, იძინოს, მეორე ნაწილის განმავლობაში ადამიანმა უნდა დაიკმაყოფილოს სხვა ფიზიკური მოთხოვნილებანი, ისაზროლოს, დაიცვას სისუფთავე, შეიმოსოს და სხვა. გარდა ამ წმინდა ფიზიკური საზღვრებისა მუშა საჭიროებს დროს ინტელექტუალურ და სოციალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, როგორც ამოცულობა და არიცხვიკულტურის საერთო მდგომარეობით განისაზღვრება“¹⁰.

ცვლილებანი მატერიალური წარმოების სფეროში, საწარმოო ფუნქციების გართულება განპირობებს მუშაკის შრომის ინტენსიურობის საზოგადოებრივად ნორმალური დონის შეცვლას, შრომის პროცესში გონებრივი, შემოქმედებითი ფუნქციების და ემოციონალური ფაქტორების ხვედრითი წილის გადიდებას, ნერვულ და ფსიქიკურ გადაღლას. ეს კი მოითხოვს ადამიანის დასვენებაზე, სიმშვიდეზე, სულიერ ენერჯის აღდგენაზე, ფსიქიკურ და ემოციონალურ განმუხტვაზე დროის დანახარჯების გადიდებას. ამ დროის უდიდეს ნაწილს ე. წ. „პასიური თავისუფალი დრო“ შეადგენს, რომელსაც ზრდის ტენდენცია ახასიათებს. თანამედროვე პირობებში წარმოიშობა უშუალო მწარმოებლის საერთო საგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების აუცილებლობა, რომლის რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა თავისუფალი დრო.

კომუნისტური ფორმაციის პირობებში თავისუფალი დროის ეკონომიკური კატეგორიის დახასიათებისას კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ თავისუფალი დრო ამ საზოგადოების სიმდიდრეს და სიმდიდრის საზომს წარმოადგენს¹¹. კ. მარქსის აღნიშნული დებულებების გასაგებად საჭიროა: ა) განვსაზღვროთ ბურჟუაზიული და სოციალისტური (კომუნისტური) საზოგადოების სიმდიდრის შინაარსი და მისი საზოგადოებრივი ფორმა: ბ) ვაჩვენოთ ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თავისუფალი დრო არ შეიძლება სიმდიდრედ და სიმდიდრის საზომად მოგვევლინოს: გ) გავარკვიოთ ის მიზეზები და პირობები, რომელთა საფუძველზეც თავისუფალი დრო კომუნისტურ ფორმაციებში საზოგადოებრივ სიმდიდრედ და მის საზომად იქცევა.

კ. მარქსი ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1859) აღნიშნავდა: „წარმოება საერთოდ აბსტრაქციაა, მაგრამ გონივრული აბსტრაქცია, რამდენადაც იგი მართლაც საერთოს ზავგასმით აღნიშნავს, მის ფიქსირებას ახდენს და, ამრიგად, განმეორებისაგან გვანთავისუფლებს“¹² იგივე შეიძლება ითქვას „სიმდიდრეზე საერთოდ“, რომელიც ასევე გონივრული აბსტრაქციაა. როდესაც ჩვენ პროდუქტზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს პირუტყვი, ხორბალი, ფესხაცემლი. ტანსაცემლი და ა. შ. აქ წინა პლანზე წამოიწევა მხოლოდ ის საერთო ნიშნები, რაც პროდუქტისათვის სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში არის დამახასიათებელი და არ განიხილება მისი საზოგადოებრივი ფორმა. ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოლიტიკური ეკონომია უშუალოდ სიმდიდრის საზოგადოებრივ ფორმას შეის-

¹⁰ კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, თბ., 1954, გვ. 294.

¹¹ Маркс К. и Энгельс Ф. Соч., т. 46, ч. II, с. 217.

¹² კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 258.



წავლის. სიმდიდრის, როგორც კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის ანალიზი, აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს ფორმაციის ძირითად ეკონომიკურ კანონში ასახულ მიზანს და წარმოადგენდეს მისი რეალიზაციის აუცილებელ და მნიშვნელოვან პირობას. სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიური პრინციპის საფუძველზე განიხილავს ბურჟუაზიული საზოგადოების სიმდიდრეს კ. მარქსი და აღნიშნავს რომ კაპიტალისტს სურს აწარმოოს „არა მხოლოდ სახმარი ღირებულება, არამედ საქონელიც, არა მხოლოდ ღირებულება, არამედ ზედმეტი ღირებულება“¹³. ბურჟუაზიული საზოგადოების სიმდიდრეს წარმოადგენს ნივთი (საქონელი, „უამრავი საქონლას გროვა“), არა როგორც რაღაც თავისთავადი რამ, არამედ, როგორც განივთვებული შრომა, როგორც ღირებულება და ზედმეტი ღირებულება, რაც აბსტრაქტული სიმდიდრეა¹⁴.

კაპიტალისტური წარმოების ძირითადი მიზანი — ზედმეტი ღირებულების შექმნა და ზრდა, სამუშაო დროისა და განსაკუთრებით ზედმეტი დროის საკითხს განმსაზღვრებელ მნიშვნელობას ანიჭებს, რამეთუ ზედმეტი სამუშაო დრო ზედმეტი ღირებულების წყაროა და მისი ზრდა აბსტრაქტული სიმდიდრის ზრდას ნიშნავს. ამიტომ, სამუშაო დრო და განსაკუთრებით კი ზედმეტი დრო, კაპიტალისტური წარმოების თვითმიზანი და ამ საზოგადოების სიმდიდრის საზომია. თვით ეს ფაქტი, კ. მარქსის აღნიშვნით, იმის მაჩვენებელია, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი ეს სიმდიდრე ადამიანის (ე. ი. მუშის — ე. მ.) სიღარიბეზეა დასყარებული და მუშის თავისუფალ დროს ექსპლოატატორული კლასები იტაცებენ¹⁵.

თავისი სპეციფიკური მიზნიდან გამომდინარე, კაპიტალისტური წარმოების კანონზომიერებაა არა სამუშაო დროის შემცირება და თავისუფალი დროის გადიდება, არამედ პირიქით, დაუკვებელი სწრაფვა სამუშაო დროის (ზედმეტი დროის) ზრდისაკენ: „მანქანა სამუშაო დღის ყველა მორალურ და ბუნებრივ ზღუდეს პირქვე ამხობს. აქედანვეა ის ეკონომიკური პარადოქსი, რომ სამუშაო დროის შემცირების უძლიერესი საშუალება იქცევა უტყუარ ნიმუშად იმისა, რომ მუშის და მისი ოჯახის სიცოცხლის მთელი დრო კაპიტალის განკარგულებაში მყოფ სამუშაო დროდ გადაიქცეს, ამ კაპიტალის ღირებულებას გასაზიდავად“¹⁶. ამის მიუხედავად, კაპიტალისტური წარმოების განვითარების კვალობაზე უშუალო მწარმოებლის თავისუფალი, დროის გარკვეული ზრდა ხდება. ერთი შეხედვით, ეს ფაქტი პარადოქსულად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომელიც ეწინააღმდეგება კაპიტალისტური წარმოების ძირითად მიზანს. ერთი მხრივ, აქ მართლაც გარკვეულ წინააღმდეგობას აქვს ადგილი, ხოლო მეორე მხრივ, თავისუფალი დროის ამგვარი გადიდება ძირითადი მიზნისადმი დაქვემდებარებული მოვლენაა. აღნიშნულის გათვალისწინებით კ. მარქსი მიუთითებდა, რომ კაპიტალიზმის ტენდენციაა, ერთი მხრივ, თავისუფალი დროის შექმნა, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ზედმეტ შრომად გადაქცევა¹⁷.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება: კაპი-

¹³ კ. მარქსი. „კაპიტალი“, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 238.

¹⁴ „კაპიტალი გამოხატავს მისწრაფებას აბსტრაქტული სიმდიდრისადმი ღირებულების ვადლებისადმი“, კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, („კაპიტალი“ მეოთხე ტომი, ნაწილი II, თბ., 1975, გვ. 19.

¹⁵ Маркс К. и Энгельс Ф. Соч. т. 46, ч. II, с. 217.

¹⁶ კ. მარქსი. „კაპიტალი“, ტ. 1., თბ., 1954, გვ. 517.

¹⁷ Маркс К. и Энгельс Ф. Соч. т. 46, ч. II, с. 213.

ტალისტური საზოგადოების სიმდიდრე ზედმეტი ღირებულებაა (აბსტრაქტული სიმდიდრე), ამ სიმდიდრის საზომი სამუშაო დროა. თავისუფალი დრო ბურჟუაზიული საზოგადოების არც სიმდიდრეა და არც სიმდიდრის საზომი.

თავისუფალი დროის გადაქცევა საზოგადოებრივ სიმდიდრედ და სიმდიდრის საზომად, მოასწავებს ძირეულ თვისებრივ ცვლილებას კაცობრიობის განვითარების ისტორიაში — კერძოდ, კაპიტალისტური ფორმაციის მსხვერველს, კომუნისტური ფორმაციის ჩამოყალიბებას და განვითარებას.

საზოგადოებრივი წარმოება კომუნისტურ ფორმაციაში ექვემდებარება ადამიანთა მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისა და პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების მიზანს. აღნიშნული მიზანი სახმარ ღირებულებათა წარმოებას განსაკუთრებულ და განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს. საქონლის სახმარი ღირებულება სოციალიზმის პირობებში უშუალოდ საზოგადოებრივ სახმარ ღირებულებად იქცევა. იგი უშუალოდ და პირდაპირ განკუთვნილია საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მთელი საზოგადოებრივი წარმოება სახმარ ღირებულებათა წარმოებად გვევლინება¹⁸.

თავისუფალი დრო განსაკუთრებული სახის სახმარი ღირებულებაა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური საზოგადოების ძირითადი სიმდიდრის, მისი „ძირითადი კაპიტალის“ — ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების მქონე ადამიანის შექმნისათვის.

ადამიანს აქვს როგორც მატერიალური, ისე სულიერი მოთხოვნილებანი. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას საშუალებას მატერიალური და სულიერი სიმდიდრე წარმოადგენს. ორივე ისინი ერთიანობაში გვევლინება როგორც პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების საფუძველი და აუცილებელი პირობა.

სოციალისტური საზოგადოების (როგორც კომუნისტური ფორმაციის დაბალი ფაზის) სრულ კომუნისტურ საზოგადოებად გადაზრდის კვალობაზე, ფორმაციის ძირითადი მიზნის რეალიზაციის პროცესში, სულიერი დოვლათი სულ უფრო გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მატერიალური დოვლათის მიმართ (თუმცა ეს უკანასკნელი ინარჩუნებს თავის აუცილებლობას), აღნიშნული გარემოება, ჩვენი აზრით, განაპირობებს თავისუფალი დროის, როგორც სულიერი სიმდიდრის შექმნის მნიშვნელოვან წყაროს, საზოგადოებრივი სიმდიდრის ძირითად ფორმად გადაქცევას¹⁹.

თავისუფალი დრო საზოგადოებრივი სიმდიდრეა არა მარტო სრულ კომუნისტურ საზოგადოებაში, არამედ სოციალიზმის დროსაც. „თავისუფალი დროის ფონდის გადიდებას ჩვენი საზოგადოებისათვის არანაკლები და ზოგჯერ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმ მატერიალურ დოვლათს, რომელიც ამ დროში შეიძლება შექმნილიყო“²⁰, — აღნიშნავს პროფ. ე. ლაზუტკინი.

პროფ. ე. პატრუშევი იძლევა სოციალისტური საზოგადოების სიმდიდრის შემდეგ კლასიფიკაციას:

- 1. ნივთობრივი (მატერიალური) სიმდიდრე მთელი მისი მრავალფეროვნებით;

¹⁸ Маркс К. и Энгельс Ф. Соч. Т. 16, с. 50.

¹⁹ «Чем иным является богатство, как не абсолютным выявлением творческих дарований человека», აღნიშნავს ე. მარქსი. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. т. 46, ч. I, с. 476.

²⁰ Лазуткин Е. Закон эконимии времени, М., 1978, с. 157.

2. „მაცნე“, ეკონომიკისა და საბარტლის სერია, 1982, №

დ. მარქ ის ს. ს.
სსრ სსხმც. ს. ს.
რუსულენოვანი
ბიბლიოთეკის

17358

2. მუშაძალის ფიზიკური და სულიერი ძალების ერთობლიობა.

3. დროითი სიმდიდრე — ა) სამუშაო დრო, როგორც ნივთობრივი სიმდიდრის შემქმნელი; ბ) თავისუფალი დრო, როგორც მუშაკის მწარმოებელი ძალის და მისი პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების წყარო²¹.

სამუშაო დრო არის ადამიანის შრომის ხანგრძლივობა ანუ, როგორც კ. მარქსი მას უწოდებდა, „შრომის რაოდენობრივი მყოფობა“²². ძირეული ცვლილებები, როგორც სამუშაო, ისე თავისუფალ დროში, ცვლის მათ ურთიერთდამოკიდებულებას. ქრება თავისუფალი დროის, როგორც „ქეშმარიტი თავისუფლებების“ ტრადიციული დაპირისპირება სამუშაო დროსთან, როგორც რაღაც „მსხვერპლად გაღებულთან“, რაც ანტაგონისტური ფორმაციებისათვის იყო დამახასიათებელი. კომუნისტურ ფორმაციაში სამუშაო და თავისუფალი დრო ორგანულად ავსებენ ერთმანეთს და ექვემდებარებიან ერთ საერთო მიზანს: პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას. აღნიშნული, ამასთანავე, სრულად არ ნიშნავს, რომ კომუნისტური საზოგადოებაში სამუშაო დროის კატეგორია გაქრება. „ნამდვილად თავისუფალი შრომა“, კ. მარქსის სიტყვებით, უაღრესად რთული საქმეა და ადამიანის ინტენსიურ დაძაბულობას მოითხოვს²³. კ. მარქსის აღნიშნულ დებულებას ჩვენი აზრით ეწინააღმდეგება შეხედულებები, რომელთა მიხედვითაც სრული კომუნისმის დროს სამუშაო დროის კატეგორია აღარ იარსებებს, შეერწყმება რა თავისუფალ დროს²⁴.

საკითხის ამგვარად დაყენება ჩვენი არასწორად მიგვაჩნია. ჯერ ერთი, იგი აშკარად ეწინააღმდეგება კ. მარქსის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ სამუშაო დრო, როგორც სიმდიდრის წყარო და დანახარჯების საზომი, იარსებებს სრული კომუნისმის დროსაც, და მეორე, — ზოგიერთი ავტორი სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის დამოკიდებულებას განვითარებულ კომუნისტურ საზოგადოებაში, ჩვენი აზრით, მეტად გამარტივებულად წარმოიდგენს. სინამდვილეში ეს დამოკიდებულებ გაცილებით უფრო მრავალმხრივი და ღრმა შინაარსის მქონეა.

კომუნისტური შრომის უაღრესად მაღალ მწარმოებლურობას სხვა ფაქტორებთან ერთად ისიც განაპირობებს, რომ შრომის პროცესი შემოფარგლული არ არის ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობებით (ეს იმიტომ, რომ იგი უკვე უშუალოდ აღარ მონაწილეობს წარმოების პროცესში).

ექვს არ იწვევს ის თეზისიც, რომ კომუნისტური შრომა შემოქმედებითი, ინტელექტუალური საქმიანობაა, მთლიანად წარმოების პროცესი კი ინდივიდის მიერ შექმნილი ცოდნის, შემოქმედებითი უნარის გამოვლინების (განხორციელების) სფეროა. სრული კომუნისმის დროს სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ურთიერთდამოკიდებულება პრინციპულად ახალ ნიშან-თვისებებს შეიძენს:

თავისუფალი დრო კომუნისტურ საზოგადოებაში იქნება დ რ ო შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ის ა თ ვ ის, სამუშაო დრო კი—დ რ ო ა მ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი შედეგების შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ის ა²⁵ მატერია-

²¹ Патрушев В. Д. Использование свободного времени общества. М., 1978, с. 8.

²² კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 20.

²³ Маркс К. Энгельс Ф. Соч. т. ч. I, 110.

²⁴ Пименова В. Н. Свободное время в социалистическом обществе. М., 1974, с. 74.

²⁵ ხაზგასმა ჩვენია (ე. მ.).

ლური წარმოების სფეროში. ეს საბოლოო ანგარიშში სწორედ ის პუნქტია, რომელამდეც სოციალისტური საზოგადოება მივა თავისი ხანგრძლივი განვითარების შედეგად.

Э. Г. МЕКВАБИШВИЛИ

К ВОПРОСУ ОПРЕДЕЛЕНИЯ СВОБОДНОГО ВРЕМЕНИ, КАК ЭКОНОМИЧЕСКОЙ КАТЕГОРИИ

Резюме

В статье предпринята попытка определить свободное время как экономическую категорию. Охарактеризованы экономические функции свободного времени. Показана его роль в процессе расширенного социалистического воспроизводства и в реализации высшей цели социалистического общественного производства.

Процесс расширенного воспроизводства включает расширенное воспроизводство рабочей силы, которое подразумевает не только восстановление и развитие физических способностей к труду, но и включает в себя воспроизводство интеллектуальных запросов людей. Последнее осуществляется, главным образом, в свободное время. Таким образом, свободное время, как категория потребления, включается в систему производственных отношений.

Если рабочее время отражает сущность и различные стороны экономических отношений в процессе производства, то в свободном времени концентрируются эти же отношения за пределами производства. Свободное время в сочетании с другими временными параметрами жизнедеятельности людей вне производства характеризует жизненные условия населения, его потребление, воспроизводство физической и духовной дееспособности, степень развития всесторонней деятельности людей.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის განყოფილებამ

Р. А. САРЧИМЕЛИЯ, Е. А. ЧИКОВАНИ, И. М. РУБИНШТЕЙН

О МЕТОДЕ ПРОГНОЗИРОВАНИЯ ПОТРЕБНОСТИ В НАУЧНЫХ КАДРАХ

XXVI съездом КПСС поставлены задачи дальнейшего улучшения организации научных исследований, усиления научной базы всех отраслей народного хозяйства. Особое внимание должно быть уделено развитию научной и конструкторской базы ряда отраслей — легкой, пищевой, медицинской промышленности, сельскохозяйственного и некоторых других видов машиностроения, обеспечению их научными кадрами. Признано необходимым «...провести работу по оценке научной и конструкторской базы различных отраслей, внести предложения по известной перегруппировке научных сил»¹.

Высокие темпы роста количества и квалификации научных кадров — один из основных показателей современного развития и эффективности науки. С другой стороны, в условиях, когда темпы роста количества научных работников превышают скорость роста населения, невозможно неизменное их сохранение в течение длительного времени. Повышение эффективности научных исследований и ускорение процесса внедрения их результатов в производство, улучшение организации научных работ и управления, обеспечение опережающих темпов роста производительности труда ученых по сравнению с ростом их количества определяют необходимость перехода развития науки от экстенсивных форм к интенсивным.

Интенсификация науки связана с установлением оптимальной структуры научных кадров, которую следует рассматривать как одну из центральных задач организации и управления в научных учреждениях.

Выявление структуры научных кадров предусматривает не только установление количества научных работников, но и определение конкретных организационных условий, учитывающих специфику научной отрасли и определяющих оптимальную структуру научных кадров (отраслевую и квалификационную).

В настоящее время еще не известны оптимальные пропорции, которые должны существовать в будущем между количеством научных работников и обслуживающим персоналом, между фундаментальными и прикладными исследованиями. Отсутствует достаточно полное представление о том, какими должны быть изменения темпов роста работников, занятых в научных отраслях, в связи с переходом к интенсивно-

¹ Материалы XXVI съезда КПСС. М., 1981, с. 44.

му развитию науки. Это вызвано не только сложностью исследуемого объекта (науки), но и тем, что не разработана методология анализа состава научных кадров с учетом региональных особенностей, отсутствуют научно-обоснованные методы определения потребностей в научных кадрах.

Основные сложности вытекают из того, что измерение эффективности результатов научных исследований остается проблемой. Наряду с этим не выявлен характер зависимости между квалификационной и отраслевой структурой научных кадров и расходами на науку.

Для прогнозирования потребности в научных кадрах можно применить методы прогнозных оценок, построения дерева целей на основе программно-целевого подхода, установление календарной даты выполнения научно-исследовательских работ в соответствии с численностью научных работников и капиталовложениями в науку, учитывающими преимущественный рост ее технической вооруженности, с учетом требований перехода развития науки от экстенсивного характера к интенсивному.

Большая неопределенность результатов научно-исследовательской деятельности, а также ряд организационных трудностей в настоящее время не позволяют осуществить прогнозирование науки и техники в масштабах региона². В частности, в системе Академии наук республики еще не организована группа экспертов-прогнозистов, которые бы активно участвовали в прогнозировании развития науки и техники. Группы прогнозистов должны быть обеспечены соответствующими информационными материалами. Поэтому на первый план выдвигаются вопросы обеспечения прогнозирования исходной информацией. По нашему мнению, ведущие ученые-прогнозисты наряду со своей основной научной деятельностью должны выделить время для участия в осуществлении прогнозирования по методам сценария, экспертных оценок и т. д.

Для реализации предложенных подходов к прогнозированию потребности в научных кадрах на первом этапе необходимо:

1. Прогнозирование основных направлений развития науки, постановка проблем, выделение задач, составление календарных графиков последовательности выполнения научно-исследовательских работ и т. п.³.
ზრახვათა გამომზეურებამ მეტად გაამწვავა ვახტანგ VI ურთიერთობა ირანსა და თურქეთთან. მტაცებელთა ბრჭყალებში მოქცეული პატარა სამსხვერპლო უნდა დასჯილიყო. შედეგიც არ იგვიანებდა. ისტორიკოსის თქმით „ქართლის მეფემ ყველა მიმართულებით წააგო“³. მის „პოლიტიკას მართლმადიდებლური გრძნობები მოერია და პეტრე დიდის ჭეშმარიტი მოხნები ვერ შეიქნა“⁴. რუსეთმა საერთო ენა გამოიხაზა ირანთან. შურისძიებით აღვსილმა შაჰმა თბილისი ააოხრა. 1723 წლის ივლისში ოსმალებმა დაიკავეს ქართლი. 1724 წლის ივლისშივე კონსტანტინეპოლთან შეთანხმებით, რუსეთმა ამიერკავკასია ოსმალებს „დაუთმო“. საწინდრად კასპიის ზღვის ნაპირებზე გაატონდა⁵. „პეტრეს თანხმობით საქართველო გამოხსნის მაგივრად „ბაბრის კლანჭებში მოექცა“⁶.

რჩეული 1200 მამულიშვილითურთ 1724 წელს 15 ივლისს ვახტანგ VI ქართლის საზღვრებს გაეცალა.

ასე „დაკანონდა“ ქართლში ოსმალთა ბატონობა, რომელმაც 12 წელს (1735 წლამდე) გასტანა. ისტორიის ამ მცირედ მონაკვეთში მრავალჯერ იყო ცდა დამპყრობთა უღლის გადაგდებისა. სწორედ აღნიშნული უნდა იქნეს მიჩნეული იმის მიზეზად, რომ ჩვენში სიღრმისეულად ვერ განვითარდა ოსმალთა ბატონობა.

ოსმალთა მიერ ქართლის დაპყრობას ირანის სისუსტემაც შეუწყო ხელი. ძალთა თანაფარდობა მალე შეიცვალა და თამაზ შაჰის ნიჭიერმა სარდალმა ნადირმა ოსმალებს შეუტია. 1735 წელს ოსმალებმა დატოვეს ქართლი, მათი აღგალი ყიზილბაშებმა დაიკავეს.

ისტორიის მცირედი მონაკვეთიც და კახეთის მეფე თეიმურაზ II და ძე მისი ერეკლე II, ქართველთა სასარგებლოდ ახერხებენ ისტორიის ჩაჩხის დაბრუნებას. „ყიზილბაშობა“ „ქართველობით“ შეიცვალა, ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა. ეს ისტორიული მოვლენა იყო. ამჯერად ასე დააღწია აღმოსავლეთ საქართველომ თავი ასორმოცდაათწლოვან

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 152.

³ იქვე, 196.

⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 425.

⁵ იქვე, გვ. 433.

⁶ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 153.

ტყეობას. „საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა“⁷.

ქართლში ოსმალობის ბატონობის ხანა ორ პერიოდით უნდა გაიყოს. პირველი 1723—1727 წლებზე მოდის, როცა ქართლი მართალია სცნობს ოსმალთა უზენაესობას, მაგრამ ქვეყნის ნომინალური მართველი ვახტანგ VI გამამდიანებული ძმა, რენეგატი — იესეა (ლი-ყული ხანი).

მეორე პერიოდი 1727 წლიდან (იესეს გარდაცვალებიდან) იწყება და მთავრდება 1735 წლით — ყიზილბაშობის დაწყებით. ამ დროს ექვს ნაწილად დაყოფილი (რომლებიც ქართველ ფეოდალებს ჩაბარდა) ქართლის განმგებელი ისაყ-ფაშაა.

ასეთია შესასწავლი საკითხის ფონი, რომლის გათვალისწინების გარეშე, სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეგვქმნით ამ პერიოდის სამართლებრივ ინსტიტუტთა ბუნებაზე. ახლა კი კვლევის ძირითად საგანზე.

სამართლის წყარო ოსმალობის პერიოდის ქართლში. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ოსმალობის პერიოდის ქართლის სამართლის ძირითად წყაროს ოკუპანტთა მიერ ამა თუ იმ ტერიტორიათაგან შედგენილი კანუნ-ნამე წარმოადგენდა. როგორც თურქოლოგი ნ. შენგელია აღნიშნავს: ოსმალობის პერიოდის „ქართლში ოსმალური კანონმდებლობა მოქმედებდა და იმის მიხედვით ხდებოდა სასამართლო წარმოება“⁸. კანონმდებლობის ქვეშ უპირატესად კანუნ-ნამე უნდა იგულისხმებოდეს. კანუნ-ნამე ანუ კანონთა წიგნი დაპყრობილი პროვინციის მოსახლეობის აღწერის მასალებს (დავთრებს) ერთოდა და ზოგად მითითებას წარმოადგენდა იმაზე, რომ დავთარში გატარებულ კომლებზე გადასახადის გაწერა, ბაყების თუ ჯარიმების ოდენობა, ასევე მიწათსარგებლობის საკითხები მასში ჩამოყალიბებული მოთხოვნებისამებრ განხორციელებულიყო. კანუნ-ნამეები გვისურათებენ როგორც დამპყრობელთა პოლიტიკას, ისე დაპყრობილი მხარეების სოციალურ-ეკონომიკურ თუ აგრარულ ვითარებას. კანუნ-ნამეთა მნიშვნელობაზე, როგორც ქართველი, ისე უცხოელი ისტორიკოსები არც თუ ისე დიდი ხანია ამახვილებენ ყურადღებას. რაც შეეხება კანუნ-ნამეთა შესწავლის საჭიროებას ქართველ იურისტ-ისტორიკოსთა მიერ, აღნიშნულზე ჯერ კიდევ ადრე მიუთითა აკად. ს. ჭიჭიამ, მაგრამ ასეთი არვის უტღია ჩვენში. დღემდე 7 კანუნ-ნამეა გამოვლენილ-გამოქვეყნებული:

1570 წლის „გურჯაის ტანის კანუნ-ნამე“⁹. იგი სამხრეთ საქართველოს პროვინციებისათვისაა შედგენილი და ოსმალურ სანჯაყებში მოქმედებდა⁹.

1592 წლის „არზრუმის ვილაიეთის კანუნ-ნამე“⁹. ეს ძეგლი იმდენადაა საინტერესო ჩვენთვის, რამდენადაც, არზრუმში საუკუნეების მანძილზე საქართველოს საზღვრებში იყო. თანაც ქრისტიანთა გარკვეული რაოდენობით იყო დასახლებული. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ პრო-

⁷ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 184.

⁸ ნ. შენგელია, XV—XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, 1974, გვ. 226.

⁹ ნ. შენგელია, ოსმალური დოკუმენტური წყაროები ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის, (კავკასიის ახლო აღმოსავლური კრებული, ტ. II, გვ. 222—223.

6. „მაიცი“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1982, № 1



ენციკლებში მოქმედ კანუნ-ნამეთა შედარებით შესწავლის თვალსაზრისით¹⁰ 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის კანუნ-ნამე“ იგი აკად. ს. ჯიქიამ 1941 წელს გამოაქვეყნა გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთართან ერთად. ამით ფაქტიურად სათავე დაედო კანუნ-ნამეთა პუბლიკაცია-შესწავლის საქმეს ჩვენში¹¹.

გურჯისტანის ვილაიეთის კანუნ-ნამე შემდეგი ქართული პროვინციებისათვისაა შედგენილი: სამცხის, ჯავახეთის, პალაკაციოს, კოლას, არტანის (მტკვრის ხეობა), ტაოს (ქოროხის ხეობა) და ახლანდელი ბორჯომის ხეობისათვის სოფ. ქვიშხეთამდე¹².

ცნობილი „ახალციხის ლივას კანუნ-ნამე“¹³. შედგენილი იმავ წელს როგორც აკად. ს. ჯიქიას მიერ გამოქვეყნებული კანუნ-ნამე. როგორც სპეციალისტები ასკვნიან ახალციხის კანუნ-ნამე, საკუთრივ ახალციხის ლივასათვის¹⁴, გურჯისტანის ცენტრისათვის დაიწერა. გამოირიცხული არაა გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში ჩამოთვლილ დანარჩენ შვიდ ლივასაც ჰქონოდათ თავიანთი კანუნ-ნამეები.

შედარებით შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება 1727 წლის „განჯის ეიალეთის კანუნ-ნამეს“¹⁵.

რაც შეეხება ოსმალობის დროს ქართლისათვის შედგენილ კანუნ-ნამეს, ჯერჯერობით იგი მიკვლეული არ არის. ცნობილია, რომ სტამბოლში, პრემიერ მინისტრის სამმართველოს არქივში (№ 897/418 და 900/813). დაცული უნდა იყოს თბილისის დავთარი. გამოირიცხული არაა მას ერთოდეს კანუნ-ნამეც. სამწუხაროდ ეს მასალა საბჭოთა სპეციალისტთათვის ხელმიუწვდომელია.

ჯერ კიდევ აკად. ს. ჯიქიას მიერ იქნა გამოთქმული მოსაზრება, რომ გურჯისტანის ვილაიეთის კანუნ-ნამე „... Содержит извлечения из действовавшего в то время турецкого с вода законов с дополнениями, учитывавшими местные условия“¹⁶

არზრუმის ვილაიეთის ქართულ ენაზე გამოცემული ც. აბულაძე აღნიშნავს: „ცნობილია, რომ თურქეთში, დაპყრობულ პროვინციებისათვის პრინციპში მოქმედებდა ერთი კანონი, ხოლო ის მცირე განსხვავება, რაც ცალკეულ ოლქების კანონებში შეინიშნება, შეპირობებულია მიცემული პროვინციის ისტორიული და გეოგრაფიული თავისებურებებით“ და იმორწმუნებს ს. ჯიქიას ზემოთ მოტანილ ციტატას¹⁷. მართლაც საყოველთაოდაა ცნობილი რომ

¹⁰ ც. აბულაძე, არზრუმის ვილაიეთის 1592 წლის კანუნ-ნამე (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“. III. 1961, გვ. 59).

¹¹ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. II. 1941. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ.

¹² იქვე, გვ. VIII.

¹³ მ. სეაიძე, ახალციხის ლივას „კანუნ-ნამეები“ (მახლობელი აღმოსავლეთის სოციალ-დემოკრატიული ისტორიის ნარკვევები, 1968, გვ. 149—175) ამავე ავტორმა იქვე გამოაქვეყნა ახალციხის ლივას 1595 და 1620 წლის კანუნ-ნამეთა ფრაგმენტები.

¹⁴ ლივა აღმინისტრაციული ერთეულია. იგივე სანჯაყი. ვილაიეთში რამოდენიმე ლივა შედის.

¹⁵ ნ. შენგელიძე, სომალური დოკუმენტური წყაროები..., გვ. 229.

¹⁶ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, 1941, გვ. XIV.

¹⁷ ც. აბულაძე, არზრუმის ვილაიეთის 1592 წლის კანუნ-ნამე, გვ. 61.

მუსლიმანურ სამართალს არც გააჩნია ისეთი სისტემა, რაც მის ყველგან ერთნაირად გამოყენებას უზრუნველყოფდა¹⁸.

როგორც ითქვა, ხელთ არა გვაქვს „ოსმალბის“ პერიოდში ქართლისათვის შედგენილი კანუნ-ნამე, მაგრამ ქართული პროვინციებისათვის ადრე შედგენილი კანუნ-ნამეები, ისე ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ ლაის ასლებათაც მივიჩნით. ასეთ ერთგვაროვნებას სხვადასხვა საუკუნეების (1995, 1960, 1927 წწ.) კანუნ-ნამეებიც კი ამჟღავნებენ. ამდენად, უფრო ტიპურად მივიჩნევთ რა 1595 წლის ვურჯისტანის ვილაიეთის და ამავე წლის ახალციხის ლივას კანუნ-ნამეებში ჩამოყალიბებული სამართლის ნორმები, ისინი, რამდენადმე მაინც ოსმალბის პერიოდის ქართლში მომქმედათაც გვესახებთან.

ზემოთ მითითებული კანუნ-ნამეები შემდეგი ხასიათის სამართლებრივ საკითხებზე გვაწვდიან ცნობებს:

ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა მ ა რ თ ლ ი დ ა ნ: მიწათმფლობელობაზე და მიწათსარგებლობაზე, გამოსაღების წესსა და რაოდენობაზე (წისქვილის გამოსაღები კაცის გაზამორებასთან დაკავშირებული გამოსაღები. გამოსაღებები: ცხვარზე, ფარეხზე, ფუტკარზე. საქორწინო გამოსაღებები), გაქცეული მონის დაჭერასა და კუთვნილებისამებრ ჩაბარებაზე, გაქცეული მონის დაჭერისათვის „სამახარობლო ჯილდოს“ მიღებაზე, სხვისი მონისა და პირუტყვის შენახვისათვის, ნაპოვნი ტანსაცმლისათვის, წანახედისათვის. ბაჟის ოდენობა გასაყიდ საქონელზე, თითოეულ კაცზე საეფისკოფოსო გადასახადის ოდენობაზე, საბაზრო ბაჟზე და მოსული გლეხის ზანდაზმულობის ვადის გავლით დაყმევებაზე.

ს ი ს ხ ლ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი დ ა ნ: პირუტყვის პატრონის მიერ სხვაზე მიყენებული ზარალის ანაზღაურების, ჯარიმის გადახდის და მისი (პატრონის) დასჯაზე ჯოხის დარტყმით. დამპყრელზე ზასაკისრებელი ჯარიმის ოდენობაზე დაზარალებულის ქონებრივი ცენზის გათვალისწინებით (თუ ჯარიმა „ეწინააღმდეგება ძველ კანონებს“ იგი არ უნდა იქნეს აღებული). მრუშის, სხვაზე თვალის დამთხრელისა და ხელის მომპრეტლა დაჯარიმებაზე. პასუხისმგებლობაზე: თავის გაპობისათვის, ძვლის გატეხვისათვის და კბილის ჩაგდებასათვის. დამნაშავეის დასჯისათვის, უკეთუ მახვილით ან მურხით¹⁹ დაპირილი ლოვინად ჩაეარდება.

ს ი ს ხ ლ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს პ რ ო ც ე ს ი დ ა ნ: სანჯაყბეგებს, სუბაშებს და მათ ხელქვეითთ „ეკრძალებათ დანაშაულის გამოუძიებლად და ბოროტმოქმედების გამოუაშკარაებლად დაიპირონ დამნაშავეები და გამოართვან მათ რაიმე და გაანთავისუფლონ (ისინი). და ვიდრე (ზემოსხენებულ პირთა მიერ) ვილაიეთის ყადის თანდასწრებით არ იქნება დამტკიცებული დანაშაული, დამნაშავეების დაჭერა და დასჯა ეწინააღმდეგება სამართალსა და კანონს“.

მითითება იმაზე თუ როდისაა ნებადართული სასამართლოში დამნაშავეის იძულებითი წესით წარდგენა. ყადის წინაშე წარდგენის (ნებართვის) გარეშე

¹⁸ М. Ш а р л ь. Мусульманское право, перевод с французского С. И. Волка. М. 1959, с. 11.

¹⁹ სხვა კანუნ-ნამეებში მურხის ნაცვლად კეტი ან შუბი წერია.



სანჯაყბეგებს და სუბაშებს ეკრძალებათ ბოროტმოქმედის ჯაჭვით შებოროკვა და სოფელ-სოფელ ტარება.

სამართლის სხვა ინსტიტუტებზე კანუნ-ნამე დუმს.

მაჰმადიანური წესით შარიათის მოსამართლე არის ყალი კანუნ-ნამეში. ყალი შემდეგი ხასიათის საქმიანობასთანაა დაკავშირებული: ყალი საჯარო ვაჭრობის მოწესობი, ყალი ნაპოვნ ტანსაცმელს აბარებს ემინს. ბოროტმოქმედის დაჭერა და მისთვის „რაიმეს“ გამორთმევა ვილაფეთის ყალის მიერ საქმის გარჩევის გარეშე აკრძალულია, ყალის მიერ ბრალის დამტკიცების გარეშე აკრძალულია ბოროტმოქმედზე ბორკილების დადება და სოფელ-სოფელ ტარება.

შარიათის სასამართლოსათვის სამართლის წყაროს წარმოადგენდა: შარიათი, ამა თუ იმ მხარისათვის სპეციალურად შედგენილი კანუნ-ნამე, მაჰმადიანურ სამყაროში გამოყენებული სამართლებრივი ხასიათის სხვა ნორმები და ჩვეულებითი სამართალი²⁰.

ქართლში მოქმედი შარიათის სასამართლოები (მოსამართლეები—ყადიები) იშვიათად მიუთითებს სამართლის მიერ გამოყენებულ კონკრეტულ ნორმაზე და ზოგადად ასე იხსენიებენ მათ: „მართალი შარიათის“ მიხედვით: „შარიათით კანონიერმა მოწმებმა“; „წმინდა შარიათის მიხედვით“ (ან „თანახმაღ“—მ. კ.) მოიკითხონ“. ერთ განაჩენში ყალის ჩაუწერია „საფიკო (მეცნიერება შარიათის კანონების შესახებ—მ. კ.) წიგნში ნათლად არის განმარტებული ნასყიდობის საბუთის უპირატესობა გირაოს საბუთზე“²¹.

სხვა დოკუმენტით, საომარ ვითარებაში ნივის დაუფლებული, შარიათის მოთხოვნით აქცევს მას თავის საკუთრებაში. განაჩენი აცხადებს: თუ ქვეყნის არეულობისას „...მავანი [მოქალაქე] ქონებას დაეპატრონა, [მეორე] შემოსხენებული მავანი [მოქალაქე] ამ ქონებაზე საჩივრს ვერ აღძრავს“²².

როგორც ცნობილია, ქართლში ოსმალობას არ გაუუქმებია ფეოდალთათვის განკუთვნილი ვადასახადები. აქედან გამომდინარე, არა მარტო ადგილობრივი მიწათსარგებლობის, არამედ სამართლის ნორმათა მოუშლელიობაცაა სავარაუდებელი.

ოსმალ-ყიზილბაშობამ ქართლში რომ ვერ მოშალა ადგილობრივი სამართალი იქედანაც ჩანს, რომ უფრო გვიან (1781 წ.) მამულზე დავის გამარჩევი სასამართლო, საჩივრის უსაფუძვლობას ასე ასაბუთებს: „...თუ ან წიგნი გქონდათ ან საბუთი... ან ოსმალობას ან ყიზილბაშობას ან სანატრელის მეფის თემურაზის მეფობაში არ ილაპარაკეთ და სამართალი არ გაიტანეთ“²³. იგულისხმება, რომ სამივე

²⁰ მუსულმანური სამართალი არა მარტო მაჰმადიან ხალხთა ადამორბივ სამართალს უწყევდა ანგარიშს და კანონმდებლობაშიც კი ვადაქონდა აქედან ზოგი რამ, არამედ სხვა ხალხთა კანონმდებლობასაც ეზიარებოდა. იხ. P. Ш а р л ь. Мусульманское право, М., 1969, с. 17, 24; М. И. Садагдар. Основы мусульманского права, М., 1968, гл. 29; არის ასეთი გამოთქმაც, რომ „შარიათი იცავს ადათს, ადათი კი შარიათს“. იხ. Г. М. Керимов. Шарият и его социальная сущность, М., 1968, с. 8.

²¹ ს ე რ გ ი ჯ ი ქ ი ა, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნე... პირველი ნახევრის ქართლში („აღმოსავლური ფილოლოგია“, 1, 1969, გვ. 187).

²² იქვე, გვ. 182.

²³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გამოსცა პროფ. ი. დოლიძემ, გვ. 159, ხაზგასმად დოკუმენტებში ყველგან ჩვენია (მ. კ.).

დროში, ქართული სამართლის მოთხოვნაზე შემდგარი დოკუმენტის საფუძველზე ადგილობრივი წესით გადაწყდებოდა დავა.

ისაყ ფაშას ერთ განაჩენში ჩაუწერია: „რადგან... ხელმწიფის ბრძანება და ფირმანი ასე იყო, რომე ჩვენს დაქერაში (იგულისხმება ოსმალთა მიერ ქართლის ოკუპაცია—მ. კ.) რასაც ცაცს მამულები ხელთ ჰქონდეს ნურვის მოუშლითო“²⁴. ეს დოკუმენტი მიგვითითებს იმაზე, რომ აგრარულ სფეროში მოქმედი მუსლიმანური სამართალი, ოსმალების მიერ ქვეყნის დაპყრობის წინა პერიოდის ურთიერთობაზე აწ გრცელდება.

ქართლში აგრარულ საკითხზე დაკვირვებით ვრწმუნდებით, რომ აქ არამცთუ გაბატონდა ოსმალური მიწათმფლობელობა, არამედ იერიც ვერ შეუცვალა ფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელ მიწათმფლობელობას. აქი ოსმალური წესით მიწათმფლობელი ისეთი პირი შეიძლება იყოს, რომელიც მუჰამედის რჯულს აღიარებს და არის მხედარი.

ქართლში ასევე ფეხი ვერ მოიკიდა ოსმალური მიწათმფლობელობის ისეთმა ფორმებმა, როგორიცაა: ხასი, თიმირი, ზიამეთი, მულქი-მოურსი, ჩიფთლიქი და სხვა.

განუხორციელებლად ჩანს ოსმალური მიწათმფლობელობისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშანიც როგორიცაა, ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების კუთვნილი მიწების გადაქცევა სავაყუფო მიწებად. ეკლესია-მონასტრები კვლავინდებურად მსხვილი მიწათმესაკუთრებად გვევლინებიან.

ქართლში ოსმალთა ბატონობის სიმძიმის განსაზღვრისას, ანგარიში უნდა ვაეწიოს, ჯერ კიდევ XVI საუკუნეში, სამხრეთ საქართველოში ოსმალთა მიერ მიწათმფლობელობისა და სამართლის დანერგვის საქმეში შექმნილ ვითარებას. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ რაც XVI საუკუნის სამხრეთ საქართველოში ხდებოდა, ოსმალთა სისუსტის გამო უფრო მცირე მასშტაბებით და ადმინისტრირებით ინერგებოდა ქართლში.

სამხრეთ საქართველოს ოკუპაციის დროსაც კი, ქართველ ფეოდალთა ზოგი სამფლობელო ოსმალთა „აღწერის“ გარეშე იქნა დატოვებული და იმუნიტეტით სარგებლობდა. შეუვალობა, უპირატესად, ქართული წესით მიწათმფლობელობის და ადგილობრივი სამართლის შენარჩუნებაში გამოიხატებოდა.

მით უფრო. ითქმის ქართლის მიმართ. აქ კიდევ უფრო შეუზღუდველნი არიან ოსმალთას „შეგუებულ“ ფეოდალები. ამდენად მეტ დამოუკიდებლობასაც ინარჩუნებენ მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობის და ეროვნული სამართლის გამოყენების საქმეში.

ყოველივე ზემოთ თქმული კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისათვის, თუ ქართლში რატომ სცნობენ ოსმალები ქართულ საბატონებო ურთიერთობას და არც ცდილობენ მის მოშლას. იქნებ ეს იმის მიზეზი თუ შედეგი იყო, რომ ტახტზე, მათი ბატონობის პირველ პერიოდში, გამაჰმადიანებული, მაგრამ მაინც ქართველი მეფე იესე იჯდა. ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ექვს

²⁴ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—3121.

ნაწილად დაყოფილ ქართლს, იყსასყ-ფავას მეთავეობით, ქართველი ფეოდალები განაგებდნენ.

ქართული სამართლის მოთხოვნის დაცვითაა გაფორმებული ოსმალთა-ყიზილბაშობის პერიოდიდან ჩვენამდე მოღწეული ათეულობით ნაყიდობის დოკუმენტი. ეს მაშინ, როცა მუსლიმანური სამართლის მიხედვით ამ ხასიათის დოკუმენტის გაფორმება ყადს ექვემდებარებოდა²⁵.

სასამართლო ორგანიზაცია და სასამართლო პროცესი. ახლა ვნახოთ როგორი სასამართლო სისტემაა ოსმალთა პერიოდის ქართლში.

აკად. ს. ჯიქია აღნიშნავს, რომ ამ დროის ქართლში შარიათის სამი სასამართლო მოქმედებს: თბილისში, გორში და თრიალეთში. სასამართლოებში ყადები მოსამართლეობენ.

ქართლში შარიათის სასამართლოს მოქმედება ეპგვარეშეა, მაგრამ ამთავეითე უნდა ითქვას, რომ მან ცხოვრებიდან ვერ განდევნა ტრადიციული ქართული სამართალწარმოება. ამდენად, აღნიშნული პერიოდის ქართლის სასამართლო ორგანიზაციაში შარიათის სასამართლო ერთ-ერთია და არა ერთადერთი.

დღესდღეობით შარიათის სასამართლოს მიერ თურქულ ენაზე შედგენილი მხოლოდ 11 დოკუმენტია გამოქვეყნებული, რომლებიც ჰუჯათეზად იწოდებიან. ისინი შარიათის სასამართლოების დავთრებიდან ანუ როგორც ისინი უწოდებენ — საჯილლათიდან ამოწერილ განაჩენთა შინაარსს წარმოადგენენ. გარდა სარეზოლუციო ნაწილისა, რომელშიც დავის გადაწყვეტის ბედზეა ლაპარაკი, ვერ ვიტყვით, რომ მათში ზუსტად იყოს დაცული თავდაპირველად საქმის გამრჩევი მოსამართლის (ყადის) ნაზრევი და დავთარში გამტარებელ (თუ მისგან ამრმწერ) პირს შემოკლებული შინაარსით არ ამოწეროს იგი. თითქოს ეს არცაა მოულოდნელი, ჰუჯათი ხომ ცნობის სახით ეძლევა საკითხის გადაწყვეტის ბედი დაინტერესებულ პირს. ეს რომ ასეა ჰუჯათში ჩაწერილი შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „გადმოწერე ეს საბუთი (სასამართლოში) დაცული დავთრიდან“; „საბუთის გადმოწერის მიზეზი ის არის, რომ...“, ამა და ამ პირმა მიმართა შარიათის სასამართლოს, რომელსაც, „მოახსენა შემდეგი“ და ჩამოყალიბებულია დავის შინაარსი. ჰუჯათში ლაპარაკია იმაზე, რომ „დეფთეიდარ ეფენდის (საქმის გამრჩევი ყადის — მ. კ.) (ეს) ნათელი სიტყვები (განაჩენის — მ. კ.) მოისმინეს და სასამართლოს წინაშე თანხმობა განაცხადეს. მათივე თხოვნით საქმე ამოწერილი იქნა ისე, როგორც ეს გადაწყდა“²⁶. სხვა ჰუჯათში კი ვკითხულობთ, „მომჩივრებს... უარი ეთქვათ საჩივარზე, რაც ჩაწერილი იქნა განაჩენში, რომლის (პირი)ც გაცემული იქნა მოპასუხეზე“²⁷.

განა საქმის გამრჩევი ყადი ასე ჩასწერდა თავდაპირველად შედგენილ განაჩენშიც? კარგად სჩანს დავთრიდან ჰუჯათის ამოწერის შეუზღუდველობა, თავის სიტყვებით გადმოსცეს სასამართლოს გადაწყვეტილების აზრი. შეამციროს მისი შინაარსი, მაგრამ ისე, რომ პასუხობდეს შემდეგ კითხვებზე: განაჩენის გამოტანის დრო და ადგილი, ვინ არჩევს საქმეს, რას შეეხება დავა,

²⁵ P. Ш а р л ь. Мусульманское право. М., 1959. с. 117.

²⁶ ს. ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკ. ..., გვ. 173.

²⁷ იქვე, გვ. 187.

როგორი მტკიცებულება იქნა გამოყენებული, ვინ იყვნენ სასამართლო პროცესზე დამსწრე მოწმეები, როგორ გადაწყდა დავა, ვის მიეცა დავთრიდან ამოწერილი ჰუჯათი და ვინ ამოწერა იგი.

ჩვენს ხელთ არსებული, თურქულიდან თარგმნილი დოკუმენტების შინაარსის იურიდიული ანალიზით, ჰუჯათი განაჩენი კი არა, სასამართლოს დავთრიდან ამოწერილი და დანტერესებულ პირზე გაცემული ცნობაა. ჰუჯათთანავე ზოგიერთი სრულებითაც არ ეხება სასამართლოს წესით განხილულ საკითხს²⁸. ქართულ მასალებში დაცული ცნობებით კი ჰუჯათი ყოველგვარი წერილობითი დოკუმენტია და მნიშვნელობა არა აქვს რას ეძღვნება ან ვინაა მისი გამცემი. იგი ასე მოიხსენიება: მებატონისაგან „თავდახსნილობის უჯათი“, ლალა-კულუხის გადასახადისაგან განთავისუფლების „ჰუჯათი“; გაყრის „ჰუჯათი“; მომჩივანს „არც წიგნი აქვს არც უჯათი“ — აცხადებს დოკუმენტი. ისაყ-ფაშას ხელთ ჰქონია ბეითელმანი სახლების შესყიდვის და მათი სხვაზე გადაცემის „ჰუჯათები“. კერძო პირი იძლევა „უჯათს“. სასამართლო ავალებს მოდავე მხარეს: „ისეთი უჯათი უნდა იშოვნოთ სად რამდენი დღის მიწა გიყიდნიათ ეწეროს“ და მისთ.²⁹

ამდენად გამართლებულად არ მიგვაჩნია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ჩვენთვის ხელმისაწვდომ თურქულ და ქართულ ენოვან დოკუმენტებში სიტყვა ჰუჯათი განაჩენის — იდენტური შინაარსით უნდა გვესმოდეს³⁰. ასეთ განმარტებას ჰუჯათის, როგორც დოკუმენტის იურიდიული ანალიზი ეწინააღმდეგება.

ყადი ყოველთვის დავთარში ჩაწერდა განაჩენს. მოდავეებს არ ეძლეოდათ მათ ღდანი და საჭიროების შემთხვევაში იმ სახით ამოუწერილენ დაუბრუნებდნენ, როგორც ჩვენს დოკუმენტებში მოაღწიეს ჰუჯათების სახელწოდებით.

განაჩენის შინაარსს (ჰუჯათს) დავთრიდან ამოწერდა: საქმის გამარჩევი ყადი, ან სასამართლოს სხვა ყადი, ან ყადის მოადგილე. ისინი მიუთითებდნენ კდევეც თავიანთ ვინაობაზე. მაგ: „გადმოწერა... გორის ყადის მოადგილემ აპმედმა“³¹.

სამეცნიერო მიმოქცევაში მყოფ მასალების მიხედვით ოსმალთა მთელ პერიოდში, როგორც თბილისში ისე გორში ოთხ-ოთხ ყადის ვხვდებით. თრი-ალეთის ყადი არ ჩანს³². ასევე მცირედი ცნობები გვაქვს ყადის მოადგილეებზე.

განაჩენის დავთარში გამტარებელთა და მის ამოწმებ პირთა ვინაობა ორ მნიშვნელოვან საკითხებზედაც პასუხობს: შარიათის ერთ სასამართლოში, ორი ყადი მაინც მოსამართლეობდა. ყადიებს მოადგილეები ყოლიათ, რომელთა ფუნქციების გარკვევა ვერ ხერხდება.

²⁸ იხ. ს. ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკ.,..., დოკუმენტები № 151. № 152 (გვ. 172—174 და 175—176): მისივე ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. № 110. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 1965, გვ. 245).

²⁹ ქართული სამ. ძეგლები, ტ. IV, გვ. 661; ტ. V, გვ. 18, 61, 171, 225, 226, 342, 343; ტ. IV, გვ. 250.

³⁰ ს. ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკ., ..., გვ. 167.

³¹ ს. ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები (აღმოსავლური ფილოლოგია, IV, 1976, გვ. 274).

³² როგორც აკად. ს. ჯიქიამ გადმოცა იგი თარგმნის ერთ ჰუჯათს რომელშიც თრიალეთის ყადია მოხსენიებულია.

დაეთრიდან განაჩენის შინაარსის ანუ ჰუჯათის ამოწერას მოგებული მხარე მოითხოვდა ყოველთვის, სულ ერთია მომჩივანი იქნებოდა იგი თუ მოპასუხე. ეს ბუნებრივიცაა, სწორედ მას სურს ამ დოკუმენტის ხელთ არსებობით მომავალშიც აიცილოს მოსალოდნელი გაუგებრობა.

შარიათის სასამართლო მხოლოდ სასამართლო დავების განხილვით არ იყო დაკავებული. მას სხვა ფუნქციაც გააჩნდა. ასე მაგალითად: თბილისის ყადი მუსტაფი, ვინმე აბდულ ლაჰის მოთხოვნით, დემეტრე ყაფლანიშვილზე სახლისა და მიწის ასოც ყურუშად მიყიდვის ფაქტს ადასტურებს³⁵.

სხვა ჰუჯათით შარიათის სასამართლო, ხაზინის ქონების შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტს ქმნიდა³⁶.

შარიათის სასამართლო მოდავე მხარის მოთხოვნით იხილავს საქმეს.

ჰუჯათებიდან არ ჩანს დაინტერესებულმა მხარემ სარჩელი სასამართლოს წერილობით წარუდგინა თუ ზეპირად. უფრო კი სავარაუდებელია, რომ მომჩივანი მოპასუხის თანდასწრებით ზეპირად ჩამოაყალიბებდა თავის მოთხოვნას. ჰუჯათები იუწყებიან: მომჩივანმა შარიათის სასამართლოს, მოპასუხის „თანდასწრებით მოუთხრო და ვრცლად მოახსენა შემდეგი“³⁵; მომჩივანი „გამოცხადდა სახელოვან და ღირპატივსაცემ შარიათის სასამართლოში... და შემდეგი განაცხადა“³⁶ და მისთ.

შარიათის სასამართლოში საქმის განხილვისას მოდავე ძნარეთა დასწრება აუცილებელია და რაც მთავარია მათი ურთიერთ დაპირისპირება უნდა დადგებოდა საფუძვლად „შარიათის მართალი გზით“ საკითხის გადაწყვეტას. ამიტომაცაა, რომ თითქმის ყველა ჰუჯათშია ჩაწერილი: მომჩივანმა მოპასუხის „პ ი რ ი ს პ ი რ და წინააღმდეგ აღძრა საჩივარი და განაცხადა“, ან მომჩივანმა მოპასუხის „პ ი რ ი ს პ ი რ შემდეგი განაცხადა“.

მაშაღიანი მომჩივანი შარიათის სასამართლოს მიმართავდა საქმის გასარჩევად, ქრისტიანი კი სხვა სასამართლოს წინაშეც (რაზედაც ქვემოთ გვეჩვენება საუბარი) აყენებდა საკითხს.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, შარიათის სასამართლო იხილავს, როგორც სისხლის ისე სამოქალაქო ხასიათის შემდეგი შინაარსის საქმეებს: მკვლელობაზე, დავას სხვის საკუთრებაში მყოფ სახლიდან მობინადრის გამოსახლებაზე, მესაკუთრის დავას სხვის მფლობელობაში არსებული ნივთის დაბრუნებაზე, დაგირავებული მიწიდან სარგებლის მიღებაზე, ნასყიდობაზე, დაგირავებული მიწის და წართმეული ნივთის უკან დაბრუნებაზე.

მართალია შარიათის სასამართლოს განსაზღვრული ჰქონდა მოქმედების ტერიტორია, მაგრამ დაინტერესებულ პირს შეეძლო სურვილისამებრ მიემართა არა იმ სასამართლოსათვის, სადაც თვითონ ან მოპასუხე ცხოვრობდა, არამედ იმისათვის, სადაც უფრო მოსახერხებელი იყო საქმის გარჩევა. ასე მოიქცა 1733 წელს გორის საყადიოს სოფელ შოვრეთში მცხოვრები ფარსადან ციციშვილი, რომელმაც თბილისის შარიათის სასამართლოს მიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ ახალციხეში მცხოვრები მოპასუხე ვალის გა-

³⁵ ს. ქ ი ქ ი ა. ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკ., გვ. 175. გარდა სასამართლო ფუნქციისა ყადის სხვა საქმიანობაზე იხ. რ. შარლის დასახ. თხზ. გვ. 116, 112.

³⁶ ს. ქ ი ქ ი ა. ოსმალური იურიდიული დოკუმენტები. XVIII საუკ., გვ. 173.

³⁵ ს. ქ ი ქ ი ა. იქვე, 172.

³⁶ იქვე, გვ. 175.

დახდის შემდეგაც არ უბრუნებს თამასუქს და უკანონო ითვისებს დაგირაგებული მიწიდან მიღებულ მოსავალს. ახლა კი მისთვის ცნობილი გამხდარა რა მოპასუხის ქალაქ თბილისში სტუმრად ჩამოსვლა, მოითხოვს საქმე თბილისის შარიათის სასამართლოში გაიჩქეს. დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა და თბილისის ყადი იხდის მსჯელობის საგნად გორელი მომჩივნისა და ახალციხელ მოპასუხის დავა³⁷. ეს მაშინ, როცა ამ ორ აღმინისტრაციულ ერთეულთ სხვადასხვა შარიათის სასამართლოები ემსახურებოდნენ.

ჰუჯათებიდან არ ჩანს საქმის გარჩევისათვის რა გასამრჯელოს იღებდა სასამართლო, საქმის გამჩრევი ყადი, თუ ამ სასამართლოს რომელიმე მოხელე. ასევე არ ჩანს საქმის გარჩევის საწინდრათ რა გადახდებოდათ მოდავე მხარებს და კერძოთ რომელს.

შარიათის სასამართლო მტკიცებულებათ იყენებს: აღიარებას, ფიცს, მოწმეს და წერილობით დოკუმენტს. ჰუჯათებში ასეა მათზე ლაპარაკი: მოდავეებმა „ერთიმეორესთან პირზე დადგომით დაადასტურეს და სიტყვიერად დაამოწმეს“ ყიდვა-გაყიდვის ფაქტი³⁸.

სასამართლო იყენებს, როგორც ქრისტიანი ისე მაჰმადიანი მოწმის ჩვენებას. ზოგჯერ კი ხაზს უსვამს მოწმეთა სანდოობას და ხარისხს, რომ ისინი მიუზნრობელნი“, „დარბაისელნი“ არიან. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ „მოწმის სახით დაკითხული იქნენ თავიანთი სიმტკიცით ცნობილი პირნი“. მოწმეთა ასე შეფასება ხაზგასმას წარმოადგენს იმაზე, რომ ყველა მოწმის ჩვენება ერთნაირი ღირსების არ იყო.

როგორც წესი, შარიათის სასამართლოში, მარტო სადაო საკითხის მკოდნე მოწმეები კი არ გამოაყენებოდნენ, არამედ თითქმის ყველა ჰუჯათში — საქმის განხილვაზე დამსწრე მოწმეებზეა მითითებული. ეს ის ხალხია, რომლებმაც საჭიროების შემთხვევაში ზუნდა დაადასტურონ ნამდვილად ასეთი განაჩენი იყო გამოტანილი თუ არა. როცა მაჰმადიანსა და ქრისტიანს შორისაა დავა, როგორც წესი, საქმის გარჩევის მოწმეებადაც ქრისტიანები და მაჰმადიანები არიან.

შარიათის სასამართლოს მიერ გამოყენებულ ფიცზედაც საკმაო ცნობები მოგვეპოვება. სასამართლო ფიცს მაშინ აჩენდა როცა სხვა მტკიცებულება არ იყო. ჰუჯათი პირდაპირ აცხადებს: რადგან მოპასუხეს სხვა საბუთი (მტკიცებულება) ვერ წარუდგენია „მიზანშეწონილად იცვნეს ფიცი, და წინადადება მისცეს [ციციშვილს] დაეფიცა“³⁹. იქვე მითითებულია ფიცის ფორმულაზე თუ როგორი სიტყვებით უნდა მოხდეს დაფიცება⁴⁰. სხვა ჰუჯათშიც ვკითხულობთ: „აღნიშნულ მომჩივან მაჰმულს მოსთხოვეს... მტკიცე საბუთი, მან ვერ შესძლო უტყუარი საბუთის წარმოდგენა და მოსურვა, მოპასუხე დაეფიცებინათ, რომ მას ფალასკა 8 აბაზითურთ არ გამოურთმევი. აღნიშნულო ჰასან ჩავუშს (მოპასუხეა — შ. კ.) მისცეს წინადადება დაეფიცა, რადგან მან მიცემული კითხვების (ფორმულის — შ. კ.) შესაბამისად“ მართლაც დაეფიცა მომჩივანს უარი ეთქვა სარჩელზე⁴¹.

³⁷ ს. ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნე..., გვ. 185.

³⁸ იქვე, გვ. 175.

³⁹ იქვე, გვ. 185.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ იქვე, გვ. 279.

სასამართლოს წინაშე, როგორც ქრისტიანი ისე მაჰმადიანი პირნი თავთავიანთი წესით იფიცებდნენ. ჰუჯათებში ჩაწერილია: სარწმუნოებით მაჰმადიანმა „მაღალი და უზენაესი ალლაჰი დაიფიცა“⁴². ქრისტიან მომჩივანს კი წარმოუთქვამს; „ვფიცავ ღმერთს, რომელმაც ჩვენ მოგვივლინა სახარება იესოსო“⁴³.

მეტად სარწმუნო მტკიცებულებას წარმოადგენდა აღიარება. მკვლელი „გამოტყდა და რამდენჯერმე აღიარა ...ლამე ჩემს სიდღერს თინიას თავში სამ ადგილას ცული დავარტყი და მოვკალიო“⁴⁴.

წერილობითი დოკუმენტის გამოყენებასთან დაკავშირებით ჰუჯათი აცხადებს, რომ მოპასუხეს სასამართლოსათვის წარუდგენია დოკუმენტი, რომელშიც გატარებული ყოფილა „ნასყიდობის შეთანხმება“⁴⁵. ასევე მომჩივანის „ხელთ არის დავთარი, რომელიც შეიცავს უტყუარ ჩამოთვლას იმ ფასიანი სხვადასხვა ნივთებისა“, რაზედაც დავაა⁴⁶.

საქიროების შემთხვევაში, სასამართლო, გარკვეულ ვადას აძლევს მოდავე მხარეს დამამტკიცებელ საბუთთა მოპოვებისათვის, მაგრამ თუ ვერ წარადგენდა „სათანადო კანონიერი ვადის გასვლის შემდეგაც“, დავა წაგებულად ჩეთვლებოდა⁴⁷.

რომელ ადმინისტრაციულ ერთეულშიც მოქმედებდა შარიათის სასამართლო, ყადიცი ისე იწოდებოდა. მაგ., „თბილისის ყადი“.

შარიათის სასამართლოს წინაშე საკითხის გადასაწყვეტად დაყენება საოკუპაციო ხელისუფლების მოხელესაც შეეძლო.

შარიათის სასამართლო ექვემდებარებოდა და ანგარიშს აბარებდა ადმინისტრაციული ერთეულის ვილაიეთის ვალს. ასე მაგალითად: თბილისის შარიათის სასამართლოს გაურჩევია რა ისეთი საქმე, რომლითაც დანტერესებული ყოფილა თბილისის ვილაიეთის ვალი. სპეციალურ მოხსენებას უკეთებს მას, თუ როგორ გადაწყვიტა დაჭა. მოხსენებითი ბარათს ვილაიეთის ვალის რეზოლუცია ადევს, ამით იგი ამტკიცებს განაჩენის კანონიერებას⁴⁸.

დოკუმენტებიდან კარგად ჩანს ისიც, რომ საოკუპაციო ხელისუფლების უმაღლეს მოხელეს თბილისის ვალს — ისაყ ფაშასაც მიუწვდებოდა ხელი ყოველგვარი სადაო საქმის განხილვაზე. უფრო მეტიც, იგი თავის სამოქმედო ტერიტორიაზე, უზენაეს მოსამართლედ უნდა გიგულვოთ.

ისაყ ფაშა, ვითარც მოსამართლე უსმენს რა მოდავეთა პაექრობას, თავის გადაწყვეტილებას განაჩენის კი არა, „წიგნის“ ან „სიგელის“ სახით აყალიბებს. რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს, შემოკლებით მოვიტანთ ერთი დოკუმენტის შინაარსს: „ჩვენ, დიდსა და ცამდის ამაღლებულის კელმწიფისაგან უხვად გამდიდრებულმან ბედნიერმან ვეზირმან ისაყ ფაშამ ესე მამულის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩხვიძე სეხნიას... რომე ძველადგან ღორასთავი თქვენ მოგვცემოდათ ქართველთ

⁴² ს. ქეკელია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები V XIII საუკ., გვ 279.

⁴³ იქვე, გვ. 185.

⁴⁴ იქვე, გვ. 277.

⁴⁵ იქვე, გვ. 187.

⁴⁶ იქვე, გვ. 181.

⁴⁷ იქვე, გვ. 185.

⁴⁸ იქვე, გვ. 182—183 და ხელნაწერთა ინსტიტუტის თურქული საბუთების კატალოგი, № 253, № 255.

ბატონისაგან და ახლა აბაშისშვილი ავთანდილ შემოგეცილა მოხვედრი კარსა და დარბაზისა ჩვენისასა და გალაპარაკეთ და ისევ თქვენვე დაგანებით ის სოფელი თავისის მიწაწყლითა შესავლითა და გასავლითა და სასახლითა⁴⁹.

მსგავსივე შინაარსის დოკუმენტს აწერს ხელს ისაყ ფაშა 1725 წელს სხვა მომჩივნისა და იგივე მოპასუხის დავასთან დაკავშირებით⁵⁰.

1734 წლით დათარიღებულ დოკუმენტით ისაყ-ფაშა თავის „სამართალს“ ახლა სიგელს ან წიგნს კი არ უწოდებს, არამედ ბრძანებას: „ვეზირი ისპაყ-ფაშა გიბრძანებ ასლან ონანასშვილი... ახლა ორნივე ჩვენს კარზედ სამართალში მოხვედით და გალაპარაკეთ თქვენნი საჩივარი გავაშინჯეთ... ჩვენც სიმართლით შენ დაგანებით“. აღნიშნული დოკუმენტი ფაქტიურად განჩინება-ბრძანება უფროა⁵¹.

ქართულ სინამდვილეში ასეთი შინაარსის დოკუმენტები წყალობის წიგნად, სიგელად ან ბრძანებად არ იწოდებიან, ამდენად ასეთი რამ ოსმალური დოკუმენტებისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს. ეს ბუნებრივია, დამპყრობელი განაჩენის ძალას ანიჭებს მის ნებას. აკი ისაყ-ფაშა ოქმითაც სწყვეტს სადაო საკითხს⁵².

ოსმალურ მოხელეთა ხელი ჩანს სასამართლო ხასიათის სხვა საქმიანობაში მაგ: 1725 წელს ერთი მეზატონის ყმის მიერ, მეორე მეზატონის ყმის შემოკვდომასთან დაკავშირებით „ბედნიერის ვეზირის ბძანებით ხალილალა ამ საქმეზე მუბაშირათ (სასამართლო მოხელედ — შ. კ.) მივიდა“⁵³. კონკრეტულად რა საქმიანობა ვასწია მუბაშირმა არ ჩანს.

ოსმალთა ერთი დოკუმენტით, ყმაზე დავის საქმე ვეზირ ქეჰ-უსუფ-ბეგს „გაუსინჯავს“, რომელიც ოქმით ავკლებს აღსრულებას გივი ამილახვარს⁵⁴.

ოსმალთა პერიოდში ფართო გამოყენება პქონდა პირშესამშლელის სახით ჯარიმის გადახდას. იგი ოსმალთა ხელისუფლის სასარგებლოდ იყო განკუთვნილი. 1733 წელს შედგენილ ნასყიდობის წიგნში მხარეები პირობას დებენ: თუ ერთმანეთს პირი უშალონ „ასის ყურღუში ჯარიმა ფაშას მივცეთ“⁵⁵. სხვა დოკუმენტითაც ვეზირისათვისაა ჯარიმა განკუთვნილი⁵⁶.

აი, სულ ის მასალა, რომლებიც გარკვეულ ცნობებს გვაწვდის ოსმალთა პერიოდის ქართლში სამართლის წყაროსა, შარიათის სასამართლოსა და ოსმალ მოხელეთა სასამართლო საქმიანობაზე.

ახლა გავსინჯოთ რა ბედი ეწია ოსმალთა პერიოდში ეროვნული სა-

⁴⁹ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფოხდი 1450, დავთარი 26, დოკუმენტი 16.

⁵⁰ საქ. ცსსა. ფონ. 1450, დავთ. 32, დოკ. 332.

⁵¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—3121.

⁵² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. 1, 1940, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, საბუთი № 291.

⁵³ ქართული სამართ. ძეგლები. ტ. IV, გვ. 309. ხალილალა 1728 წელს ნასყიდობის მოწმეთაა დასახელებული (საქ. ცსსა ფონ. 1448, № 911).

⁵⁴ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. 1, გვ. 218.

⁵⁵ იქვე, გვ. 237.

⁵⁶ იქვე, გვ. 240.

სამართლო ინსტიტუტებს. მოქმედებდნენ თუ არა ისინი, ან რა ფარგლებში და რამდენად დაქვემდებარენ ოკუპანტთა რეჟიმს. დავიწყით უპირველესიდან.

მდივანბეგთა სასამართლო. ოსმალთა პერიოდში მოქმედება არ შეუწყვეტია ძირძველ ქართულ—მდივანბეგის სასამართლოს. თქმულის უტყუარ დადასტურებას მდივანბეგის სახელოთი ახალ პირთა აღკურვაც წარმოადგენს. ოსმალთა დროს მდივანბეგობენ:

1. ერასტი ორბელიანი. ერასტის ეს სახელო 1703—1731 წლებში თავისი მამის-ვახტანგის შემდეგ უბყრია (იგი 1731 წელს გარდაიცვალა). ოსმალების ბატონობისას მრავალი დოკუმენტია მისი, როგორც მოსამართლე-მდივანბეგის ბეჭდით განმტკიცებული. ერასტის სასამართლო საქმიანობა იმითაც უფრო გახდა შეუზღუდველი, რომ 1727 წელს ოსმალთა ხელისუფლებამ ვითარც თავწამყვარ მოხელეს, საბარათიანოც ჩააბარა საგანმგებოდ.

2. ქაიხოსრო ორბელიანი. სამეცნიერო ლიტერატურაში დავას არ იწვევს რომ ერასტი ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ (1731 წ.) ორბელიანთაგან ქაიხოსრო სარდალს ებოძა მდივანბეგობა⁵⁷. ხელთა გვაქვს ქაიხოსროს მიერ ყიზილბაშობის პერიოდში გამოტანილი განაჩენებიც⁵⁸.

3. ლუარსაბ ყაფლანიშვილი (ორბელიანი). ლუარსაბი მხოლოდ ერთ დოკუმენტშია მოხსენიებული მდივანბეგად. იგი ისაყ ფაშას მიერ გაცემული წყალობის წიგნს წარმოადგენს. წიგნს ღებულობენ „...ტფილისის სამფლობელოში მყოფთა თავადთაგან პატივით გამოცხადებული ყაფლანის შვილები, სახელდობრ: მდივანბეგი ერისთავი ლუარსაბ, მისი ძმა ქაიხოსრო და ფარსადან“. დოკუმენტს აქვს შინაწერი: „ამისი ასლი თათრული ენაზე და ვთარგმნე მე პოდპოლკოვნიკმა მიჩზა აბრამ ენიკოლოფოვმა“⁵⁹. სარდალი ლუარსაბ ყაფლანიშვილი, როგორც მოსამართლე ადრეც (მათ შორის ერასტი მდივანბეგთანაც) არჩევს საქმეებს⁶⁰. მაგრამ მას ამ დროს თუ მდივანბეგის სახელო ებყრა, ამის დამადასტურებელი სხვა რამ დოკუმენტი არ მოგვეპოვება.

თუნდაც არ გავიზიაროთ ზემოთ ჩამოთვლილ ზოგიერთ პირთა მდივანბეგობა⁶¹, ის მაინც ნათელია, რომ ოსმალთამდელ უახლოეს პერიოდთან შედარებით მდივანბეგთა სასამართლო საქმიანობა არამცთუ შეწყდა (თუ გაზრ-

⁵⁷ გ. ყაშბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. 1955, გვ. 147; თ. ენუქიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მდივანბეგთა ქრონოლოგიური რიგი („მრავალთავი“, ტ. 1, გვ. 308).

⁵⁸ ქართ. სამ. ძეგლები, ტ. IV, გვ. 339, 337.

⁵⁹ საქართველოს ცსსა, ფონდი 1449, საბუთი 1342.

⁶⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 171, 260; საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 249.

⁶¹ თ. ენუქიძემ თავის „მდივანბეგთა ქრონოლოგიურ რიგში“, რომელიც ზოგ რამეში არ ემთხვევა ჩვენს მასალებს (იხ. ჩვენი საკანდიდატო დისერტაცია: „სასამართლო ორგანიზაცია და პროცესის შესახებ XVIII საუკუნის II ნახევრის ქართულ-კახეთის სამეფოში“. 1965 წ. დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში: ასევე ნაშრომი: „მდივანბეგთა ვინაობისა და რაოდენობის საკითხისათვის საქართველოს რუსეთთან შეერთების წინ“, (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, 1968, № 6) ვინმე „ასლან მდივანბეგზედაც“ მიუთითა. ამ უთაროლო დოკუმენტის დათარიღება 1733 წლით მეტად საეჭვოა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ისიც რომ „ასლან მდივანბეგი“ კახეთში საქმიანობდა თეიმურაზ II მეფობაში (იხ. ქართ. სამ. ძეგლები, ტ. V, საბუთი № 384).

დაზე არას ვიტყვი), არც შემცირებულა. 1731 წელს ერასტი ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ ქაიხოსროზე მდივანბეგობის ბოძების ფაქტი ხომ უფრო მეტის მეტყველიცაა.

მდივანბეგები ქართული სამართლის ნორმების მომარჯვებით სწყვეტენ დავებს. მათ მიერ გამოტანილი განაჩენები ოსმალთა კონტროლისა თუ ზედამხედველობის გარეშე მიიქცევიან აღსრულებაში⁶².

მდივანბეგთა შეუზღუდველ სასამართლო საქმიანობაზე, ოსმალთა პერიოდში, სამდივანბეგო გადასახადის შენარჩუნება-გამოყენებაც მიგვანიშნებს. 1733 წლის შეთანხმების წიგნით, მხარეები პირის გასამტებლოდ „სადივანბეგოს“ გადახდას ადგენენ⁶³.

მეფე იესეს (ყულიხანის) სასამართლო საქმიანობა. ოსმალთა დაწყებდან 1727 წლამდე, ოკუპანტთა სამსახურში ჩამდგარი რენეგატი იესე სასამართლო ფუნქციასაც ანხორციელებდა. მისი „მოღვაწეობის“ ეს პერიოდი, როგორც ითქვა, ოსმალთა ბატონობის პირველ ხანად გვესახება. იმის წყალობით, რომ მაჰმადიანი იესეა ქართლის განმგე, რამდენადმე მაინც ადგილობრივი ხელისუფლებაცაა შენარჩუნებული. ეს კი უპირატესად ადგილობრივ ადამიანებს და სამართლის შენარჩუნებასაც უნდა მოასწავებდეს. თქმულს დოკუმენტებში იესეს მეფეთა-მეფეთ მოხსენიებაც უჭერს მხარს.

იესე, ოსმალთა პერიოდში უნდა არჩევდეს სხვადასხვა ხასიათის საქმეებს, რაზედაც მის მიერ გამოტანილი ზოგიერთი განაჩენიც გვაუწყებს⁶⁴.

იესე, როგორც ოსმალთა ხელქვეითი, სასამართლო საქმიანობაშიც რამდენადმე ექვემდებარება მათ და ამ სფეროშიც ზედამხედველობს მათი ნების აღსრულებას. ერთი დოკუმენტით⁶⁵ იგი მდივანბეგ ერასტი ორბელიანს ავალებს შეასრულოს ვეზირის ბერურათში (ბრძანებაში, განკარგულებაში) აღნიშნული მითითება და დახმარება აღმოუჩინოს შარიათის სასამართლო მოხელეს — მუბაშირს.

ფოდალთა სასამართლო. ოსმალთა დროს, ქართლში ცალკეული ფოდალებიც ანხორციელებდნენ სასამართლო ფუნქციას. იოანე ორბელიანს, გივი ამილახვარს და სხვებს ვეზირმა „ისაყ-ფაშამ აბაშვილი მანგლელისა და მისი ძმის ლევანის, როსტომის და გუგუნას სასამართალი“ უბრძანა ყმასა და მიზარებულ საქონელზე⁶⁶. 1730 წელს მიწასა და წისქვილზე დავის საქმეს მუხრანის ბატონი მამუკა არჩევს. მტკიცებულებად ქართული სამართლით განსაზღვრული შეგდებულ და შეუგდებელ მოწმეთა ფიცი გამოიყენება⁶⁷.

⁶² მუსლიმანური სამართალი, რომ ყოველთვის ვერ ბატონდებოდა დაპყრობილ ხელხთა სამართალზე და ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალიც სიცოცხლის უნარიანი რჩებოდა იხ. К о т л о в Л. Н. Становление национально-освободительного движения на арабском Востоке. М., 1975, с. 61.

⁶³ დოკუმენტი... ტ. 1, გვ. 240.

⁶⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. გვ. 317—323, 334.

⁶⁵ საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 343. ოსმალთა მუბაშირის როგორც აღმასრულებლის მოქმედება ფართოდაა დაწვრილი იხ. საქ. სიძველენი. ტ. III 418—419; ქართ. სამართ. ძეგ. ტ. IV, გვ. 309.

⁶⁶ ქართ. სამართ. ძეგლები. ტ. IV. გვ. 335.

⁶⁷ იქვე, გვ. 223.



ჩვენამდე მოღწეულია ერთი ასეთი დოკუმენტიც. გურამ და ფარემუზი ფურცლებს მიწვილებს მკვლევლობასთან დაკავშირებით ხანისათვის მიუმართავთ. ამ უკანასკნელს კი საქმის განხილვა სახლთუხუცესის რევავისა და მდივან ონანასათვის ებრძანა. მათაც გაურჩევიათ საქმე⁶⁸.

კიდევ უფრო განუმტკიცებელია ოსმალობის შემცველი — ყიზილბაშთა გავლენა ქართულ სამართალსა და სამართალწარმოებაზე, რაც ახალი ოკუპანტის სისუსტით იყო განპირობებული.

1735 წლიდან, როცა ქართლში⁶⁹ ყიზილბაშობა დამყარდა და შარიათის სასამართლოები მოისპო, კიდევ უფრო მეტი გასაქანი მიეცა ქართული სამართლისა და სასამართლო ინსტიტუტების გამოყენებას. ეს ლოგიკურიც იყო. ახალ დამპყრობელს ამ სფეროში ახალი რამ ღონისძიება არ გაუტარებია. ხელთა გვაქვს ამ პერიოდის განაჩენები, რომელთა მიხედვითაც მდივანბეგი, ქართველი ფეოდალები ან ბჭეები (მედიატორები) მოსამართლეობენ. ფართო გასაქანი ეძლევა ეროვნულ სამართალს⁷⁰.

უნდა ვიფიქროთ, რომ ძველებურად მოქმედებს საეკლესიო სასამართლოც, რომელიც თავის გადაწყვეტილებას საეკლესიო სამართალზე აფუძნებს⁷¹. ასეთი განცხადებიდან არ უნდა იქნეს გაკეთებული ისეთი დასკვნა, რომ თითქოს ეკლესია-მონასტრები არ იზღუდებოდნენ. იმის გახსენებაც კი კმარა, თუ როგორ განიავდა ეკლესია-მონასტრების ქონება და შემდგომ მდგომარეობის გამოსასწორებლად როგორი ხასიათის ღონისძიების გატარება მოუხდათ საერო თუ საეკლესიო ხელისუფალთ.

აქვე უნდა ითქვას ბარემ ისიც, რომ ოსმალთა-ყიზილბაშობის პერიოდში სამოხელეო წყობილებაშიც არ სჩანს დიდი ცვლილებები. უფრო მეტიც. დამპყრობელი ძველთაგან დადგენილ რიგს მისდევს და ამა თუ იმ სახელოს შემვევიდროებით გაცემის წესსაც კი იცავს⁷².

ჩვენი დასკვნა ოსმალთა-ყიზილბაშობის პერიოდში შარიათის სასამართლოს მოქმედების, ქართული სასამართლო ორგანიზაციის, სასამართლო პროცესის და მოქმედ სამართლის წყაროსთან დაკავშირებით, მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ოსმალთა-ყიზილბაშობამ ქართლში შეზღუდა, მაგრამ ასპარეზიდან ვერ განდევნა ეროვნული სამართალი.

2. შარიათის სასამართლო ქართული სასამართლო ინსტიტუტების ბარალელებად მოქმედებდა.

3. ოკუპაციის ხანმოკლე პერიოდი, ასევე დამპყრობელთა და დაპყრობილთა კულტურული თუ ეკონომიური დონე, არ ქმნიდა იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ ეროვნულ სამართლებრივ ინსტიტუტებს ასე მოკლე დროში დაეტოვებინათ ტრადიციული გზა.

⁶⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 336.

⁶⁹ 1735 წლის 6/X-ს ნადირშაჰმა დაიკავა თბილისი, სადაც სეფი-ხანი დასვა განმგებ და სარდალად.

⁷⁰ ქართული სამართ. ძეგლები, ტ. IV, გვ. 337, 339, 342, 351, და სხვა.

⁷¹ იქვე, გვ. 949. ოსმალთა დროსაც უნდა მოქმედებდეს საეკლესიო სასამართლო, მაგრამ კვალი არ ჩანს.

⁷² საქართველოს სიძველენი, ტ. II. საბუთი № 442

4. უფრო მეტი ითქმის ყიზილბაშობის ბატონობის პერიოდზე. ამ დროს არ უცდიათ რაიმე სიახლე დაენერგათ კანონმდებლობასა თუ სამართალწარმოებაში.

5. ეროვნულ სამართლის ინსტიტუტთა „შეწყნარება“ დამპყრობელთა მიერ, მათს სისუსტესთან ერთად, მაჰმადიანურ სამყაროსთან ქართლის ინკორპორირების სურვილითაც იყო განპირობებული. ამდენად, ფრთხილად „ჩათრევის“ საქმესაც ემსახურებოდა იგი.

6. ოკუპაციის პერიოდში, დამპყრობელთა სამართალთან დაპირისპირებით — ქართულ ჩვეულებებზე დაყრდნობილმა სამართალმაც დადებითი როლი შეასრულა.

7. ზიტუაციასთან შეგუებისა და არსებობის შენარჩუნების მიზნით, ქართული სამართალი, შესაძლებლობის ფარგლებში, უშვებს მუსლიმანურ სამართალთან „თანამშრომლობას“.

8. სამართლებრივი ინსტიტუტების შეუქმნე დგინდება ისიც, რომ ოსმალებმა ვერ შესძლეს ოსმალური მიწათსარგებლობის და მიწათმფლობელობის დანერგვა ქართლში.

М. М. КЕКЕЛИА

ПРАВО И СУДОПРОИЗВОДСТВО В КАРТАЛИНСКОМ ЦАРСТВЕ
 ПЕРЕД ЕГО ОККУПАЦИЕЙ ИРАНО-ТУРЕЦКИМИ
 ЗАХВАТЧИКАМИ
 (1723—1747 гг.)

Резюме

В статье исследована юрисдикция шарнатского суда и его источник права, а также его взаимосвязи с национальными судебными институтами. В результате изучения данного вопроса установлено, что параллельно с мусульманским правом и шарнатским судом в Картли действовали грузинские правовые институты и судебные организации.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ

ՔՅՅՅԵՈՒ, ՈՅՐԵՄԵՏՈՒՆԻՆԻ, ՅՐԵՄԵՏՈՒՆԻ

ФУНДАМЕНТАЛЬНЫЙ ТРУД О МЕТОДЕ ПОЛИТИЧЕСКОЙ ЭКОНОМИКИ СОЦИАЛИЗМА

Метод политической экономики социализма. Под редакцией В. Н. Черковца,
А. А. Сергеева.—М.: Наука, 1980—374 с.

На современном этапе развития системы политической экономии социализма в условиях весьма повышенного интереса к методологическим и теоретическим работам в области политической экономии рецензируемая монография авторского коллектива в составе: Вальтуха К. К., Городецкого Е. С., Еремина А. М., Захарова А. К., Конищева В. В., Куликова В. В., Майминаса Е. Э., Покрытана А. К., Радаева В. В., Сергеева А. А., Сулова И. П., Тамбовцева В. Л., Юдкина А. И., Шехета Н. И., Черковца В. Н. представляет значительное явление в советской и вообще в марксистско-ленинской экономической литературе.

История политической экономии социализма помнит немало интересных дискуссий по тем или иным сложным и актуальным проблемам данной науки на разных этапах ее развития. Дебаты шли и вокруг отдельных методологических проблем, оспаривались те или иные подходы, но редко кто оспаривал необходимость, актуальность и важность метода политической экономии социализма в целом. Тем не менее до опубликования рецензируемой нами монографии в советской экономической литературе не было опыта такого масштабного и всестороннего изучения этой важнейшей проблемы¹. Данная работа авторского коллектива является первой в научной экономической литературе, где «каталогизированы и рассматриваются все те проблемы метода политической экономии, которые так или иначе были поставлены и были предметом дискуссии в нашей литературе в последние 15—20 лет» (с. 11) и анализ которых возможен из-за относительной самостоятельности метода политической экономии. При этом, метод политической экономии социализма изучается, не выходя за рамки единства предмета и метода политической экономии (с. 9, 58, 69).

Авторы с самого начала во введении предупреждают читателя, что в данной монографии не надо искать те методологические вопросы, которые находятся за рамками метода политической экономии: уче-

¹ Из сказанного не следует, что такие работы вообще отсутствуют. См., например: Предмет и метод политической экономии социализма. Саратов, 1974; Методологические проблемы политической экономии социализма. Л., 1976; Сулов И. П., Методология экономического исследования, М., 1974; Использование принципов материалистической диалектики в политической экономии, М., 1977 и др.

ние о предмете, задачи науки, логика исследования и т. д. (с. 7), что здесь не ставится также цель раскрыть проблемы метода политической экономии вообще. Эти вопросы изучаются в работе постольку, поскольку показывается специфика их приложения к политической экономии социализма (с. 8). Авторы с начала до конца строго придерживаются этой концепции. Отсюда следует, что монография по содержанию вполне соответствует своему названию — «Метод политической экономии социализма».

Главное достоинство монографии заключается в том, что в ней практически впервые в качестве предмета исследования взято изучение специфики метода политической экономии социализма, раскрытие существующих особенностей его применения к исследованию социализма.

В работе красной нитью проводится мысль, что метод политической экономии социализма не является самостоятельным методом анализа. Он характеризуется особенностями, обусловленными, во-первых, спецификой социалистических производственных отношений, т. е. спецификой исследуемого объекта и, во-вторых, спецификой социальной функции политической экономии социализма — способствовать построению и развитию нового общества.

Именно обусловленность особенностей метода политической экономии социализма внутренним содержанием, спецификой ее предмета рассматривается в первом разделе — «Политическая экономика социализма в системе общественных наук, ее социальные функции».

В качестве важнейших особенностей метода политической экономии социализма выделены: народнохозяйственный подход (с. 27); отвлечение от отношения товарного производства и характеристика социалистического производства как непосредственно-общественного по его коренным устоям (с. 28); вычленение подсистемы общесоциалистических производственных отношений (с. 30); обострение внимания на конкретные формы проявления экономических законов в непосредственной хозяйственной практике (с. 32).

Для уяснения особенностей метода политической экономии социализма важно правильно понимать соотношение между функциями политической экономии. В работе показано, что неразрывная связь и единство мировоззренческих и практических функций политической экономии появляются не с переходом к социализму, а осуществляются специфически при социализме под влиянием новой социальной установки политической экономии социализма (с. 36, 43).

Во втором разделе — «Диалектический и исторический материализм — методологическая основа политической экономии социализма» устанавливается историческая граница предмета политической экономии вообще и политической экономии социализма в частности, что является необходимым шагом для уяснения особенностей применения исторического материализма в анализе социалистических производственных отношений. Справедливо обращается внимание и аргументи-



руется ошибочность расширительного толкования предмета политической экономии социализма под предлогом якобы возрастания ее роли (с. 43).

Далее обосновывается зависимость структуры метода политической экономии социализма от структуры ее предмета — системы производственных отношений социализма, а в структуре метода политической экономии социализма выделяются основное (всеобщее), общенаучные (междисциплинарные) и частнонаучные (специфические, политекономические) методы (с. 56). При их рассмотрении наиболее спорными являются вопросы, касающиеся междисциплинарных методов (системный подход, метод структурных уровней и др.) В рецензируемой работе совершенно правильно указывается, что политическую экономию интересуют не эти методы сами по себе, а их применение, т. е. их конкретизация для политико-экономических исследований (с. 66).

В этом же разделе показано значение применения законов диалектики в политической экономии: закона перехода количественных изменений в качественные для изучения вопроса об единстве качественного и количественного в экономических явлениях; закона единства и борьбы противоположностей в деле уяснения источника функционирования и развития экономики и закона отрицания отрицания для решения вопросов исторической преемственности и диалектического «снятия».

Во втором разделе рассмотрены также вопросы сознательного использования экономических законов и соотношение между объективным и субъективным в политико-экономических исследованиях, развернуто обосновывается возможность и необходимость целенаправленного, сознательного совершенствования производственных отношений при социализме (с. 132).

Третий раздел рецензируемой монографии под заглавием «Принципы диалектической логики в политической экономии социализма» по насыщенности оригинальными решениями и новаторскому подходу ко многим ключевым методологическим проблемам политической экономии, на наш взгляд, представляет наибольший интерес. Одним только заглавием авторский коллектив подчеркнул свое отношение к попыткам отрицания применения диалектической логики с применением математической (формальной) логики. В этом разделе рассматриваются проблемы, не входящие ни в предмет, ни в метод политической экономии. Уместно заметить, что метод и предмет бывают только в единстве. Правда, нельзя замалчивать и того, что до конца еще не сформулирована система материалистической диалектической логики.

Заслуга авторского коллектива и в том, что логические принципы они заполнили политико-экономической материей.

Надо, видимо, согласиться с выводом, что «метод теоретического исследования и метод изложения теории — это один и тот же метод политической экономии» (с. 181) в рамках восхождения от абстракт-

тного к конкретному. Кажется неправомерными утверждения, разграничивающие метод изложения и метод исследования. Признание такого разграничения волей неволей приводит к допущению существования двух методов политической экономии. Такое допущение предполагает существование третьего метода, содержащего первые в качестве подчиненных моментов². Этим единственным методом, как общезвестно, является метод материалистической диалектики, являющийся одновременно как методом познания, так методом изложения (доказательства). Если напомнить об индукции или дедукции, то надо отметить, что и они должны быть диалектическими и что они являются только лишь моментами диалектического. Что же касается перехода от конкретного к абстрактному или от абстрактного к конкретному, то здесь можно также добавить переход от абстрактного к абстрактному, или от конкретного к конкретному. Все эти аспекты одного и того же пути — от абстрактного к конкретному.

Нам хотелось бы среди множества интересных подходов в данном разделе монографии отметить один. Это доказательство справедливости исследования социализма с позиции будущего. На самом деле, в логическом не только причина определяет следствие, но и следствие выступает в качестве момента причины.

Четвертый раздел монографии — «Общенаучные (междисциплинарные) методы исследования в политической экономии» посвящен методам структурных уравнений, экономической кибернетики, моделированию, математическим и статистическим методам с позиции, вполне соответствующей положению В. И. Ленина, что «история несет с собой и новые факты и новые способы исследования, требующие дальнейшего развития теории»³.

Особый интерес вызывает рассмотрение метода структурных уровней применительно к предмету политической экономии. Отмеченный метод не отрывается автором от диалектического метода и справедливо признается в качестве его дальнейшего развития и конкретизации.

В целом представляет значительный интерес изложение и других вышеуказанных методов, хотя не все положения авторов можно считать бесспорными.

Мы полностью согласны с авторским коллективом, что анализ, синтез, индукция, дедукция и т. п. «не заключают в себе ничего собственно политико-экономического» (с. 246) и что уделение им особого внимания способствует насаждению формальной логики в политико-экономических исследованиях. Однако, как нам кажется, данная позиция может быть понята неправильно, как отрицание правомерности их применения вообще. Во избежание такого недоразумения рассмотрение этих вопросов должно было занять определенное место.

Книга выиграла бы, если бы в ней, в отличие от других работ — монографии, учебников и т. д. — развернуто были освещены роль, зна-

² Церетели С. Б. Диалектическая логика, Тб., 1965, с. 15 (на груз. яз.).

³ Ленин В. И. ПСС, т. 4, с. 202.

чение, тенденции принципов партийности и классовости в политической экономии социализма, имея ввиду известное положение. Ф. Энгельса о том, что «коль скоро речь идет о «человеческой науке», экономической науки, то у него не должно быть идеала, он вырабатывает научные результаты, а когда он к тому же еще и партийный человек, то он берется за то, чтобы эти результаты были применены на практике»⁴.

Кажется спорным заглавие первого параграфа первой главы — «Единство всей частей политической экономии как науки о различных способах производства». Наверное, было бы правильнее вместо подчеркнутого говорить «о различных системах производственных отношений».

В монографии, в отличие от многих политико-экономических работ, подчеркнута важность системного подхода в анализе экономики социализма, однако на наш взгляд он в работе не получил полного развития.

Несмотря на всю важность сравнения противоречий в их антагонистических и в неантагонистических проявлениях, было бы неправильно утверждать о преимуществе одного противоречия перед другим (с. 89, 100). На наш взгляд, неточно также утверждение, что «неантагонистические экономические противоречия планомерно и целенаправленно осуществляются и разрешаются социалистическим обществом» (с. 102.—курсив наш). Исходя из этой позиции, получается, что не объективная действительность, а субъекты сами искусственно создают противоречия, а потом придумывают способы для их преодоления. С нашей точки зрения, следовало бы строже придерживаться правильной общей позиции монографии, что характер противоречий при социализме неантагонистический, в отличие от антагонистического характера противоречий при капитализме, и что разрешается первое в планомерно-сознательной форме, а второе в стихийно-конфликтной.

Широта охвата сложных методологических проблем, глубина их исследования, а также значимость разработки для дальнейшего совершенствования системы категорий и законов политической экономии социализма позволяет заключить, что рецензируемая монография представляет большое событие в научной жизни и окажет неоценимую помощь специалистам, занимающимся проблемами политэкономии социализма, преподавателям, аспирантам, студентам и другим заинтересованным лицам.

К сожалению, небольшой тираж издания монографии не соответствует его значению и поэтому кажется целесообразным его дальнейшее переиздание.

Г. С. Тодуа
 Д. Д. Чхиквадзе
 М. Ч. Джибути

⁴ Маркс К., Энгельс Ф., Соч., 2-е изд., т. 36, с. 170.

ვახტანგ VI სამართლის ახალი რუსული თარგმანი

1981 წლის 29 მაისს მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიისა და ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაერთიანებული გაფართოებული სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა ვახტანგ VI სამართლის წიგნის ახლანაირი გამოსული რუსული თარგმანი¹.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ აკად. შ. ძიძიგულმა და თქვა: ჩვენში წყაროთმცოდნეობითს საქმიანობას მდიდარი ტრადიცია აქვს. ამ ტრადიციის სათანადო განვითარებისათვის, ჩვენი საისტორიო წყაროების გამოვლინება-გამოქვეყნების კოორდინაციის მიზნით აკადემიაში შექმნილია სავანგებო კომისია. იგი დიდი ხანი არ არის, რაც მოქმედებს, მაგრამ, ძიუხედავად სიძნელეებისა, მისი თაოსნობით და ხელის შეწყობით უკვე საკმაოდ დიდი მუშაობაა გაწეული — 25-მდე ტომი გამოიცა. თუმცა წარმატებას ნაკლებ ახლავს, მაინც მოპოვებულმა შედეგებმა მოწონება დაიმსახურა, კერძოდ სათანადო საკავშირო სამეცნიერო ცენტრების მხრივ. დღეს განსახილველი გვაქვს ვახტანგ VI საკუთარი სამართლის წიგნის ახალი რუსული თარგმანი. იგი თავისი პუბლიკაციების I ტომად გამოსცა კომისიის ქართული სამართლის ძეგლების სექციამ, რომელსაც აკად. ი. დოლიძე ხელმძღვანელობს. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლის თარგმანი საქმის დიდი ცოდნით, ჩვეული გულდადებით მოამზადა და თანაც სრული სამეცნიერო აპარატით გააწყო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილების უფრ. მეცნიერ თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა დავით ფურცელაძემ. ჯერ გამოცემამდე ამ შრომაზე იმსჯელა ჩვენი კომისიის სესიამ და მას მაღალი შეფასება მისცა. „Законы Вахтанга VI“ ნამდვილი მეცნიერული გამოცემაა. მასში გათვალისწინებულია სამართლის ძეგლის პუბლიკაციის ყველა თავისებურება. იგი მნიშვნელოვან წარმატებად შეეძინა ჩვენი საისტორიო წყაროების გამოცემებს.

შემდეგ შესავალი სიტყვით გამოვიდა ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილების გამგე საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის წევრი აკად. ი. დოლიძე.

ვახტანგ VI დიდი მოღვაწე იყო. მას განუზომელი დამსახურება მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე. კერძოდ, დაუფასებელია მისი დედალი ეროვნული სამართლებრივი კულტურის აღორძინება-დაწინაურებასა და თვითონ ჩვენი სამართლის განვითარებაში. ვახტანგს ეკუთვნის მისი ფართო კოდიფიკაცია. მან მოიძია, თავისი საკანონმდებლო კრებულში შეიტანა და ამით შეგვინარჩუნა ძველი ქართული სამართლის წიგნები, აგრეთვე უცხოური სამართლებრივი წყაროები, რომლებიც ძველადვე ცნობილი იყო საქართველოში. ვახტანგის საკა-

¹ Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глоссорий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Изд. «Мецниереба», Тб., 1980

ნონმდებლო მოღვაწეობის ნაყოფია აგრეთვე ისეთი დიდმნიშვნელოვანი ძეგლი, როგორც „დასტურლამალია“. ვახტანგის სამართლებრივმა მეგვიდრობამ, განსაკუთრებით მისი კორპუსის დამაგვირგვინებელმა საკუთარმა სამართალმა, აღრევე მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება და ითარგმნა კიდევ სხვა ენებზე. 1837 წელს იგი ფრანგულად თარგმნა მ. ბროსემ, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ეს ნაშრომი დაკარგულია. ვახტანგის კრებულის XIX ს. დასაწყისის არასრულყოფილი ოფიციალური რუსული თარგმანი, რომელსაც სამსახურებრივი დანიშნულება ჰქონდა, 1887 წელს გამოიცა საჯაროდ დ. ბაქრაძის რედაქტორობითა და შენიშვნა-კომენტარებით. XIX ს. 30-იან წლებში ქართული სამართლის წიგნები ფრანგულად თარგმნა სტრასბურგელმა პროფესორმა ე. კარსტმა. მისი შრომის I და II ტომები სწორედ ვახტანგის სამართლის ტექსტსა და მის კომენტარებს შეიცავს ეს გამოცემები თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებს აღარ აკმაყოფილებს. კარგა ხანია, რაც საჭირობოროტო ამოცანად იქცა ვახტანგის სამართლის ხელახლად თარგმნა და ამ გზით შეტანა საბჭოთა და უცხოურ სამეცნიერო ბრუნვაში.

ათ წელზე მეტია, რაც აღნიშნულ საქმეზე მუშაობს დავით ფურცელაძე. ამ დროის მეტი წილი მან ძირითადად ვახტანგის სამართლის რუსულად თარგმნას და გამოსაცემად მომზადებას მოახდინა. ამის შემდეგ კი იგი ვახტანგისეული კორპუსის სხვა ეროვნული სამართლის წიგნების — კათალიკოსთა სამართლის, ბაგრატ კურაპალატის სამართლისა და გიორგი V „ძეგლის“ თარგმნას შეუდგა.

ვახტანგ VI სამართლის თარგმნით და გამოცემით მან საშვილიშვილო საქმე გააკეთა. სამეცნიერო ღირსებით ეს გამოცემა ჩვენი ძეგლების პუბლიკაციებს აღემატება კიდევ.

პირველ ყოვლისა, თარგმანი შესრულებულია არა მარტო არსებული გამოცემების მიხედვით, არამედ 15-ოდე ხელნაწერის უშუალო შესწავლით და გამოყენებით. ამის შედეგად ძეგლის ტექსტის არაერთი ადგილი დადგენილია ხელახლად.

საერთოდ, თარგმანი ნათლად და, როგორც ეს სამართლებრივი წყაროს თარგმანს მოეთხოვება კიდევ, სიზუსტით გადმოგვცემს მის შინაარსს, ე. ი. კანონმდებლის აზრს, ამოხსნილია ტექსტის ბუნდოვანი ადგილები და ამასთანავე შენარჩუნებულია ძეგლის იერი და თავისებურებანი.

თანამედროვე ტექსტოლოგიის მაღალ მოთხოვნათა დონეზეა გამოცემის სამეცნიერო აპარატი. აღსანიშნავია მუხლობრივი კომენტარები და განსაკუთრებით კი გლოსარიუმი. მასში მოცემულია სპეციფიკური ქართული ტერმინების, მთელი გამონათქვამების ახსნა-განმარტება და მათი რუსული თარგმანის დასაბუთება, მითითებულია შესაბამისი სპეციალური ლიტერატურა. გლოსარიუმში, ცხადია, ასახულია არაქართული წარმოშობის ტერმინებიც, მაგალითად, ავარაკი და მისთ. ტექსტისათვის წამძღვარებულ შინაარსიან, კარგად დაწერილ შესავალში მოცემულია ყველაფერი, რაც კი უცხო მკითხველმა თარგმანის გაცნობასთან ერთად უნდა იცოდეს.

დაბოლოს, დ. ფურცელაძის ამ შრომით ჯეროვანი საძირკველი ჩაეყარა ქართული სამართლის ძეგლების რუსულად თარგმნა-გამოცემას. «Законы Вахтанга VI» ყოლა ქართული ისტორიკოსის, ფილოლოგისა და იურისტისათვის საშავილო წიგნი იქნება.

ვახტანგის სამართლის თარგმნა და გამოსაცემად მომზადება ჩვენს განყო-

ფილებში წარმოებდა. თავდაპირველი სახით თარგმანი კოლეგიურად იხილებოდა და ავტორსა, წიგნის რედაქტორს ი. ფუტყარაძესა და ჩემს შორის მისი პრინციპებისა და ცალკეული ადგილების გამო აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლაც იმართებოდა. მუშაობის ბოლო ეტაპზე დ. ფურცელაძემ რედაქტორობა სთხოვა აგრეთვე ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, ქართულისა და რუსულის საუკეთესო მცოდნეს პროფ. გ. ჟორდანიას.

ერთ-ერთი მთავარი სადაო საკითხი სპეციფიკური ქართული ტერმინების თარგმნას შეეხებოდა, სახელდობრ იმას, რომელი მათგანი უნდა თარგმნილიყო და რომელი შეიძლებოდა, ანდა სჯობდა კიდევ, ქართული სახითვე დარჩენილიყო. ასეთებია, მაგალითად: დ ი დ ე ბ უ ლ ი, რომელსაც სიტყვისიტყვით და აზრობრივაც—*вельможа* შეესატყვისება; ს ა ხ ლ ი ს კ ა ც ი —*един*-ანდა *од-нод*მეც; ს ხ ვ ი ს შ ვ ი ლ ი, ს ა ხ ლ ი ს შ ვ ი ლ ი ს —*домочадец*-ის ანალოგიით,—*чужачадец*; ს ა უ ფ რ ო ს ო, ს ა უ მ ც რ ო ს ო, ს ა შ უ ა ლ ო —*старше-*, *младше-* და *среднебратское*; გ ა ს ა მ მ ყ რ ე ლ ო — *разделительное*.

გ. ჟორდანიას მოთხოვნით, დ ი დ ე ბ უ ლ ი დიდეულ-ადვე დარჩა, რათა სოციალური ტერმინების ერთგვარობა არ დარღვეულიყო. დანარჩენთა თარგმანის ჩვენი ვარიანტების გამო, მისივე რჩევით, წყაროების კომისია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ენის ინსტიტუტსაც კი შეეკითხა, მაგრამ მისგან გადაწყვეტილი მხარდაჭერა ვერ მიიღო. ამიტომ აღნიშნული ტერმინები თარგმანში ქართული სახით შევიდა.

არსებობს აზრი რომ, უთარგმნელად დატოვებული ტერმინი მეტისმეტად მრავალია. ასეთი სულ 70—80-ამდეა, მაგრამ თუ ბეჭასა და აღბუღას სამართლის ვ. დონდუასა და ი. დოლიძისეულ რუსულ თარგმანს² გავითვალისწინებთ, მაშინ აღნიშნული საყვედური მართებულად აღარ ჩაითვლება: ბეჭასა და აღბუღას სამართალი მოცულობით ვახტანგის სამართლის შესამედია და მასში უთარგმნელი ქართული ტერმინი 40-იოდება. ამასთანავე დ. ფურცელაძის წიგნს ახლავს გლოსარიუმი და მისაღებია მხედველობაში ისიც, რომ მკითხველად უპირატესად მეცნიერ-მკვლევარები ივარაუდებიან.

რაც შეეხება შენიშვნებს, ასეთი ორია.

სასამართლო ორთაბრძოლის გამოსახატავად კანონმდებელი ჯ მ ა ლ ს ა და ჯ მ ა ლ შ ი გ ა ტ ა ნ ე ბ ა ს ხმარობს, რაც მართებულად თარგმნილია *поединок*-ად (*судебный поединок*). მე-40 მუხლში ნათქვამია, „მხრობელი და იგი კაცი ჯმალმან გაასამართლოს“-ო, რაც თარგმანში გადმოცემულია სიტყვებით: «да рассудит осведомителя и того человека меч». მართებული იქნებოდა — «...рассудит... поединок».

ძიგლში ყველგან გვაქვს: მ ო ა ხ ლ ე ა ნ მ ხ ლ ე ბ ე ლ ი, მხოლოდ 234-ე მუხლშია მ ჯ ე ვ ა ლ ი: „ეინც ან თავისი მ ჯ ე ვ ა ლ ი ან მ ო ნ ა, ნასყიდი...“-ო. თარგმანი ასეთია: «...кто или свою мхевали, или раба, купивенных...» აქ მ ო ნ ა „ნასყიდ“ ე. ი. განსაკუთრებით უუფლებო კაცს, ყმას ნიშნავს და მ ჯ ე ვ ა ლ ი ც ნასყიდი, ასევე უუფლებო მოახლეა. უკეთესი იყო მ ო ნ ა პირდაპირი გაგებით *раб*-ად არ თარგმნილიყო, თორემ ერთსა და იმავე ვითარებაში მ ჯ ე ვ ა ლ ი მოითხოვს *рабыня*-დ ითარგმნოს.

² Судсбник Бека и Агбуга... Перевод В. Д. Дондуа и И. С. Долидзе, изд. АН Груз. ССР, Тб., 1960.



მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა*საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის წევრს, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დიპლომატიკის განყოფილების გამგეს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს ე. ხოშტარიას.

აკად. ი. დოლიძემ სრულად დაასასიათა განსახილველი შრომის მნიშვნელობა და ღირსება. ვახტანგ VI „სამართლის“ გამოქვეყნება რუსულად, მასთანვე ასეთ მაღალ დონეზე, მთარგმნელ-გამომცემლის დ. ფურცელაძის და წიგნის რედაქტორების ნამდვილად დიდი ღვაწლია. კვლავ უნდა აღინიშნოს სხარტი, სულ რაღაც 2 თაბახიანი შესავალი, რომელიც სრულად შეიცავს იმას, რაც კი მკითხველმა აუცილებლად უნდა იცოდეს თარგმანის გაცნობისას. ჩვენი სხვა პუბლიკაციების დამცირება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ წიგნის სამეცნიერო აპარატი სანიმუშოა. გულმოდგინედ დამუშავებულ გლოსარიუმში მკითხველს, მეტადრე რუს მკითხველს, შეუძლია ნახოს ყველაფერი, რითაც კი დაინტერესდება. სამავალითაა საძიებლებიც, ისინი ჩვეულებრივზე გაცილებით მეტ ცნობას იძლევიან.

საერთოდ მთარგმნელ-გამომცემელთან სადავო არაფერია. და თუ მაინც ზოგი აზრი უნდა გავუზიაროთ, ეს უფრო მხოლოდ სურვილები იქნება ვიდრე შენიშვნები.

შესავალში კონტექსტის მიხედვით თითქოს გამოდის, რომ XVIII ს. დასაწყისში ფეოდალურ-ბატონყმური წესი უკვე დრომოქმედობისაკენ იხრებოდა და ვახტანგის სამართალი კი „ჭერაც“ ფეოდალურ სამართლის წიგნს წარმოადგენდა (გვ. 14, 19). უფრო სწორედ, — იმ ხანაში ფეოდალური ურთიერთობები ჯერ კიდევ მტკიცე იყო და ვახტანგის კანონებიც მათ ზედმიწევნით შეესაბამებოდა.

ამ გამოცემის მიზანია ქართული სამართლის ძეგლი უცხო, უმთავრესად რუს მკითხველს მიაწოდოს. ამიტომ უკეთესია უთარგმნელი ქართული ტერმინირაც შეიძლება ნაკლები იყოს.

მაგალითად, ტერმინი სისხლი. ოთხიოდე ადგილას, სადაც ეს ტერმინი დანაშაულს, სისხლის დაღვრას, გულისხმობს, თარგმანში მართებულად ნახმარია кровь. სხვაგან, სადაც ლაპარაკი კომპოზიციანზეა, დატოვებულია ქართული — сисхли, თუმცა შეიძლებოდა გარმანული „ვერგელი“ ანდა სისხლის სრული შესატყვისი რუსული вира გამოყენებულიყო.

მსაჯულსა და მოსამართლეს — судья-ს შორის ძეგლში განსხვავება არა ჩანს. ამიტომ შეიძლებოდა — меаджули-ის ნაცვლად судья გვეხმარა. მართალია, ტექსტში, მაგალითად, ასეთი გამონათქვამებიც არის: „მსაჯულმან და მოსამართლემან“, მაგრამ ამ შემთხვევაში მართებელი კავშირი „და“ სხვადასხვა მნაშვნელობის სიტყვებს კი არ აკავშირებს, არამედ სინონიმებს, — „ანუ“ სავით არის.

(სიტყვა ჩაუბრუნო აკად. შ. ძიძიგურმა: დადგენილია, რომ „და“ კავშირი სინონიმებს შორისაც იხმარებოდა, როდესაც ერთ-ერთი მათგანი უცხოური ან არქაული სიტყვა იყო).

ვახტანგის დროს დიდებული თავადისაგან განსხვავებულ წოდებას არ წარმოადგენდა — დიდებული ხეთიოდ-ქვესიოდე ყველაზე წარჩინებული სათავადო სახლის პირველ პირს ეწოდებოდა. თარგმანში დიდებული-ის მაგიერ თავისუფლად შეიძლებოდა вельможа და вельмсженный-ს გამოყენება.

იმ ხანაში გლეხი იგივე რუსული *крестьянин*-ია და თვითონ მთარგმნელიც შესავალში იმოწმებს არჩილის ლექსს: „თუ ამოწყდეს გლეხი-კაცი, საქართველო დაძაბუნდა“ — «Не станет крестьянс.ва, захиреет Грузия».

უფრო რთულია ყმის საკითხი. მართალია, ამ ტერმინის სხვადასხვა მნიშვნელობა ნაჩვენებია საგნობრივ საძიებელში და გლოსარიუმშიც, მაგრამ სიცხადისათვის უკეთესი იქნებოდა თვითონ ტექსტში კონტექსტის მიხედვით ყოველ ცალკე შემთხვევაში ყმის მნიშვნელობა აღნიშნული ყოფილიყო ურჩხილებში.

ფათერაკის ვადმოსაცემად გამოდგებოდა *ненароком*, სამშობლო სათვის *родня*, სახლისკაცისათვის — *родич*, გადაბრუნებისათვის — *обездоление*.

ქართული ტერმინების ამგვარი შესატყვისებით ვადმოსაცემის სასარგებლოდ ისიც ლაპარაკობს, რომ თარგმანში უკვე გვაქვს: *მოყვასი родной и близкий*, *ბიჭი* (ხელზე მოსამსახურე) — *парень-слуга*, *მოჯამაგირე наймит* (თუმცა ეს უკანასკნელი რუსული ტერმინი თითქოს უფრო ფართო მნიშვნელობისაა), და, რაც მთავარია, ისეთი სპეციფიკური ქართული ფეოდალური ვალდებულება, როგორც *ლაშქარ-ნადირობა* იყო, ვადმოსაცემული როგორც *военно-охотничья служба*.

მაინც ყველა ეს, როგორც დასაწყისშივე ითქვა, მხოლოდ შემოთავაზება და გემოვნების საკითხიც არის, ხოლო რუსები იტყვიან „გემოვნებაზე არა დავობენ“—ო. წამოყენებული საკითხები ერთი ხელის მოსმით ვერ გადაწყდება, დინჯად დაფიქრება სჭირდება.

ერთი ესეც. „შუბის ბუდე“ (მუხ. 7) *чехол*-ს არ უნდა ნიშნავდეს, შუბის ტარის დასაყრდენად გვეგულება.

ე. ზოშტარიამ გამოთქვა აგრეთვე მოსაზრებანი დედანი ტექსტის და თარგმანის ზოგი ადგილის გამო (მაგ., „შანთი და მდულარე ორივე ერთი არის“ მ. ზ. „წყალობის ყმა“ — მ. 260).

შემდეგი მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილების უფრ. მეცნიერ თანამშრომელს იურიდიული მეცნიერებათა დოქტორს გ. ნადარეიშვილს³.

ქველის პუბლიკაციის ხარისხი შედარებითი მსჯელობის საკითხია. 1954 წელს სომხეთში გამოიცა რუსულად მხითარ გოშის სამართლის წიგნი. იგი თარგმანია ა. პაპოვიანმა, ხოლო გამოცემას რედაქტორობა გაუწია ბ. არუთინიანმა. თარგმანი კარგია, მაგრამ სამეცნიერო აპარატის სიმცირის, კერძოდ, საგნობრივი საძიებლის უქონლობის გამო ამ საინტერესო წყაროთი სარგებლობა მეტად გაძნელებულია. ვახტანგის სამართლის რუსული გამოცემა ამ მხრივაც სანიმუშოა. ამას თვითონ სომეხი კოლეგები გვეუბნებიან.

დღეს, აქ უკვე ითქვა ვახტანგის საკანონმდებლო კორპუსისა და საკუთრივ მისი სამართლის წიგნის დიდ მნიშვნელობაზე, აგრეთვე ამ შესანიშნავი ქველის

³ მისი რეცენზია „სასარგებლო საქმე“ დაიბეჭდა ვახ. „ლიტერატურულ საქართველოში“, 15, V, 1981, 20.

თარგმნა-გამოცემის დროულობასა და მაღალ დონეზე. აღინიშნა ტერმინოლოგიური სირთულეებიც, ზოგი ტერმინის ამოხსნისა და რუსულად გადმოცემის სიძნელე.

ასეთი ტერმინია, მაგალითად, ჟერო. იგი განსაწმენდელ ფიცს უნდა ნიშნავდეს. ჟერო მოინახა აღრიხნდელ ძეგლებშიც, კერძოდ ბექას სამართალში (XVII ს. ნუსხა Q-206; მუხ. 63.) აქ იგი, ისევე, როგორც ვახტანგთან, ფიცის გვერდით ზოგადად იმავე მნიშვნელობით, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული იურით იხმარება. ძირითადად ჟერო ბუნებრივი, დაუწერელი კანონია, როგორც იგი ლათინებსა და ბერძნებს ესმოდათ. fas—საღვთო სჯული, ღვთაებრივი კანონი, ზემთაგონებული სამართალი, საწინააღმდეგოდ კაცობრივისა, ე. ი. ის, რაც ქეშმარიტად მართალია, სამართლიანია, ჟეროს პარალელს ვპოულობთ ხაშურაბის კანონებში — „ღვთივ დაჯერების“ აზრით. ვახტანგის „სამართლის“ თარგმანმა წარმოაჩინა ჟეროს დამოკიდებულება ფიცთან, მისი დაჯერებითი, დარწმუნებითი, შეჯერებითი მომენტი.

დ. ფურცელაძის თარგმანის მთავარი ღირსება დედნის ზედმიწევნით სწორ გაგებასა და გადმოცემაში მღვდმარეობს. მაგალითად, 225-ე მუხლში დადგენილია, რომ საქმე გვაქვს სამკვედროსთან, ე. ი. სამარხთან, და არა სამკვიდროსთან; 248-ე და 260-ე მუხლების შეპირისპირებით გამორკვეულია წყალობისა და ნებეირი ყმის ერთგვარობა; ძეგლის ნუსხების მითითების საფუძველზე მიგნებულია ებრაული ფიცის ფორს მულა და დაფიცების წესი, რაც სათანადოდ აისახა კიდევ სქოლიოში; ვახტანგი-231-ე და აღბუღას 81-ე და 82-ე მუხლების ანალიზით ამოხსნილია საქაცოროსაქონლის რაობა, როგორც საომარი და მამაკაცის შრომითი იარაღისა; 233-ე მუხლის ალაღისაქონელი მართებულად თარგმნილია როგორც ნამდვილად კუთვნილი და არა ვიწროდ კეთილმონაგარი (благоприобретенное) ქონება, როგორც ეს ძველ თარგმანშია; გამოკვლეულია, რომ მუქარის დათხოვა (მუხ. 228) ლიტონ მუქარას კი არ ნიშნავს, არამედ აგრეთვე გამოწვევას შესაქიდებლად, ორთაბრძოლაში.

ორიოდ შენიშვნა განსახილველი შრომის მიმართ ასეთია. პირველი ცნება-ტერმინი ივთს, რომაულ res-ს შეეხება. იგი საკუთრების ცნების ერთგვარი ზღურბლია, საკუთრების ცნება კი მფლობელობისაგან განცალკავებით, განყენებული სახით ჩვენში, შესაძლოა, არც ჩამოყალიბებულა. თვითონ ივთიც აღნიშნული სპეციალური გაგებით პირველად ვახტანგთან გვხვდებოდა (მუხ. 207, სათაური) და დ. ფურცელაძემ იგი მართებულად სწორედ вещь-ად თარგმნა. მაგრამ 167-ე მუხლის 1-ელ სქოლიოში, სადაც სიტყვა სულ იერსნივთების საკლასიფიკაცია ნიშნად ვარაუდობს, დამოწმებულია პეტრიწონის ტიპიკონი. უფრო სწორი იქნებოდა „დიდი სჯულის კანონის“ მითითება, რომლის თარგმანშიც არსენ იყალითოელმა ივთის, ანუ ქართული სამართლისათვის გვიანობამდე დამახასიათებელი საქონლის, ცნების კლასიფიკაციაც ასახა. სწორედ „დიდი სჯულის კანონი“ ვახტანგს შეუძლებელია არ სცოდნოდა.

მეორე შენიშვნა. გლოსარიუმში ნასაღი სწორად არის განმარტებული, მაგრამ კარგი იქნებოდა ამ განმარტებაში ასახულიყო ნასაღი ბაშიცი იმის ჩვენებით, რომ მისი ფუნქცია უშუალოდ სასჯელის აღსრულებას კი არ გული-

სხმობდა, არამედ უფრო ზოგადად საჯარო-სამართლებრივი ინტერესების, როგორც ახლა ვამბობთ, კანონიერების დაცვას ითვალისწინებდა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ენის ინსტიტუტის პოზიციის მიუხედავად სასურველი იქნება დამკვიდრდეს დ. ფურცელაძის მიერ ერთი წყება ტერმინებისათვის შემუშავებული თარგმანები. რომლებიც სწორად უნდა იყოს ნაწარმოები და სათანადო ცნებებს კარგადაც შეესატყვისება. ამას უჭერს მხარს აკად. ი. დოლიძეც და მათი დანერგვა პატივცემული ე. ხოშტარიას რჩევის შესაბამისი იქნება.

მოხსენების მოსმენის შემდეგ გაიმართა პაექრობა.

ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რ. კიკნაძე: დღევანდელი განხილვით საფუძველი ეყრება ახლად გამოსული პუბლიკაციების სათანადოდ შეფასების კარგ ტრადიციას.

ვახტანგ VI სამართლის თარგმანი შესანიშნავად არის შესრულებული, ამასთანავე ისეთი რუსული ენით, რომელიც ჩვენი თაობისათვის უკვე ძნელი მისაღწევია.

დ. ფურცელაძის წიგნში ყველა არაქართული მკითხველი ბევრ საინტერესო რასმე ნახავს ქართული ეროვნული სამართლის შესახებ. მისი სამეცნიერო აპარატი შედგენილია სანიმუშოდ, სრულყოფილად, იგი მისაბაძია ისტორიკოსებისათვისაც. საძიებლები, კერძოდ სავნობრივი, ისეთ ცნებებს და შენიშვნებსაც შეიცავს, რომ ერთგვარად კომენტარს უახლოვდება. ამ მხრივ, პირთა საძიებელი მიღებულ წესსაც კი არღვევს, რომლის თანახმადაც იგი სახელების გარდა არაფერს უნდა შეიცავდეს. გამოცემა დასურათებულია და ამით მას ლაზათი ემატება.

ზოგიერთი შენიშვნა შრომის გამო ასეთია. გასაზიარებელია პატივცემული ე. ხოშტარიას აზრი. თუმცა წიგნი მასობრივი მკითხველისათვის არ არის გათვალისწინებული, მაინც მისი გაგება ჩვეულებრივ ინტელიგენტსაც არ უნდა გაუჭირდეს. მხედველობაში ძირითადად რუსი მკითხველია და ამიტომ ცალკე სიტყვები და გამონათქვამებიც, რომლებიც აპარატში ზოგან ქართულად არის მოყვანილი, ყველა რუსული ტრანსკრიფციით უნდა იყოს.

დავთარი ნაჩვენებია „არაბ., სპარს.“-ად ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე, — დავთარი სპარსულიდან არის.

ულაცი თურქულადაც სწორედ სახედარს ნიშნავს.

წყაროების თარგმნის პრინციპები სამართლის ძეგლებისთვისაც ძალაში უნდა იყოს, ზოგი მაინც. მაგალითად, Мтквари-ს ნაცვლად Кура უნდა ვიხმართ.

დანართები (№№ 1—3), რომლებიც ვახტანგის სამართლის სისტემას არკვევენ, საძიებლების წინ უნდა მოთავსებულიყო.

თავისი სიტყვის დასასრულს რ. კიკნაძემ ვადაცნო დამსწრე საზოგადოებას წერილი, რომელიც მან საკავშირო აკადემიის სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტიდან ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ლ. პუშკარივისაგან მიიღო: «Простите, что задержался с ответом—был в командировке в Минске, проверяли работу Института истории БССР. Вернулся и получил Ваше письмо и книгу... публикация Законов Вахтанга меня очень порадовала, прекрасный научный аппарат. Превосходны комментарий. Указатели дают возможность легко найти нужные факты, они очень и очень поле-



зны. О глоссарии мне, как неспециалисту, судить трудно, но все равно я его с интересом просмотрел. Какой гигантский труд! Какое блестящее свидетельство достижений грузинского источниковедения. После командировки в Минск это особенно бросилось мне в глаза! Поздравляю в Вашем лице редколлегию серии и комиссию по источникам истории Грузии. Еще раз спасибо Вам за книгу».

წიგნის რედაქტორი თბილისის უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ურდანიას: სასურველი იყო ეს განხილვა უფრო დიდსა და ფართო საზოგადოებისათვის ადვილმისაწვდომ აუდიტორიაში, თუნდაც უნივერსიტეტის დარბაზში მოწყობილიყო. ეროვნულ კულტურასთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებას ჩვენი საზოგადოება, კერძოდ ახალგაზრდობა, ცოცხლად ეხმარება. დ. ფურცელაძის წიგნი კი ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს. ამიერიდან არაქართველ მკითხველს, როგორც რუსს, ასევე უცხოელსაც, საშუალება ეძლევა გაეცნოს ქართულ სამართლებრივ აზროვნებას მისი განვითარების ისტორიას: ზოგად ხაზებში და ვახტანგ VI კოდიფიკაციის დიაპაზონს, ხოლო ძირითადად და უშუალოდ — თვითონ მის კანონებს.

დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა პატივცემულ ე. ხოშტარიას და გ. ნადარეიშვილის საფუძვლიანი მოხსენებები. მე წილად მხედა პატივცემულ ი. ფუტყარაძესთან ერთად შრომის რედაქტორობა გამეწია. მაღლობა ეკუთვნით დიდად პატივცემულ აკად. ა. შანიძეს — მისი თავაზიანი წვლილისათვის და აკად ი. დოლიძეს — უფრო უშუალო მონაწილეობისათვის, რაც მათ ამ გამოცემაში მიუძღვით.

დ. ფურცელაძეს უსაყვედურებენ, უთარგმნელად გამოყენებული ტერმინების სიმრავლეს. ეს ბრალი, თუ იგი მართლაც ბრალად ჩაითვლება, რედაქტორებმაც უნდა გავიზაროთ, მხოლოდ დავის შედეგად დავატოვებინეთ მას, მაგალითად, **სისხლი** ნაცვლად **кровь**-ისა და აგრეთვე რიგი სხვა ტერმინი ქართული სახით. მისაბაძად მყავდა ჩემი მასწავლებელი პროფ. ნ. გრანციანსკი. სალიკური სამართლის ძეგლების რუსულ თარგმანში მან შეინარჩუნა არა მართო ლათინური ტერმინები (მაგალითად, **compositio**), არამედ ისეთებიც, როგორც არის თუნდაც **Wehrgeld**. ეს უკანასკნელი ქართულ ს **ი ს ხ** **ს რომ** შევადაროთ, ცხადი ვახდება რამდენად განსხვავებული და თავისებური ეტიმოლოგია აქვთ: **Wehrgeld** -ში (ანუ აგრეთვე **Wiedergeld**-ში) **Wehr**=**Mann**-ს, ე. ი. კაცს, **Geld** ფული ან ფასია, **wieder** ნიშნავს „კვლავ“.

სხვადასხვაა **გ ლ ე ხ ი ს ა** და **крестьянин**-ის ეტიმოლოგიაც: **крестьянин** იგივე **христианин**-ია, ე. ი. ქრისტიანი.

არც გეოგრაფიული სახელებია აუცილებელი რუსული. ფორმით ვიხმართ: ხიდებთან **Мтკვარი** წერია და არა **Кура**, რომელიც შეთვისებულია **თურქული** **Кур**, **Кюр**-**чай**-საგან.

საერთოდ კი დ. ფურცელაძე მეტწილად დაბეჭითებით ასაბუთებდა თავის პოზიციას და ძნელად სთმობდა მას. მაგალითად ავიღოთ მე-8 მუხლი, რომელიც „მდლარეთი“ გამოცდას აწესრიგებს. მასში ნათქვამია, „და რა აღუღდეს წყალი და გადმოზრუნდეს“-ო, რაც რუსულად, ნათარგმნია: «И как за-

КИПИТ ВОДА И ЗАКЛОКОЧЕТ». „ვადმობრუნდეს“ წყალში ჩაკიდებულ ჯვარს უნდა ეხებოდეს, მაგრამავტორი არ დათანხმდა, თუმცა მე თავის დასარწმუნებლად სახელში ცდაც კი მოვახდინე.

(დ. ფურცელაძემ სიტყვა ჩაურთო: ერთი მეც უნდა ვცადო, თუმცა მხედველობაში ძლიერი დუღილია და ამბობენ, „წყალი დულს და თუბთუბებს“. — დულს და გადმოდულსო“. ჯვარიც ამის გამო წყალთან ერთად უნდა ბრუნავდეს).

ახლა ვერ მოხერხდა, მაგრამ იმედია ვახტანგის კანონების ეს თარგმანი მალე შეორედაც გამოიცემა და მაშინ სასურველია თარგმანის გვერდით ქართული დედანიც დაიბეჭდოს.

*

წიგნის რედაქტორი ინსტიტუტის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების გამგე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ფუტყარაძე: დავით ფურცელაძეს მაღლობა ეკუთვნის იმ დიდი ღვაწლისათვის, რაც მან ჩვენს ეროვნულ კულტურას დასდო მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ქართული სამართლის ისტორიის უძვირფასესი და უმნიშვნელოვანესი, თავისი მოცულობით, შინაარსით — მრავალფეროვან საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებითა და საკანონმდებლო ტექნიკის დონით გამორჩეული ძეგლის — ვახტანგ VI სამართლის რუსული პუბლიკაციით. დ. ფურცელაძის დამსახურება ეროვნულ ფარგლებს სცილდება კიდევ, უფრო ფართო ღირებულებისაა. განსახილველი გამოცემით მნიშვნელოვნად გაფართოვდა ძველი ქართული სამართლებრივი კულტურის ასპარეზი, მსოფლიო მეცნიერულ ბრუნვაში ჩაერთო ისტორიულ-შედარებითი სამართალმცოდნეობის თვალსაზრისით მეტად საინტერესო და უხვი მასალის შემცველი ვახტანგისეული სჯულების ახალი თარგმანი, რომელიც შესრულებულია თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. თარგმანს ახასიათებს განსაკუთრებული სიზუსტე, დედანთან ზედმიწევნითი სიახლოვე. მასში იგრძნობა ორიგინალის თავისებურება, მოქნილად გამოყენებულია ისტორიულ-იურიდიული ტერმინოლოგია. ბევრი ადგილი ახლებურად და მართებულად არის გაგებულ-გააზრებული. ამასთან, უაღრესი მეცნიერული კეთილსინდისიერებით არის აღნიშნული წინამორბედ მთარგმნელთა თუ სხვა ავტორთა დამსახურება და მოსაზრებანი. თარგმანი აღჭურვილია სრულყოფილი — სანიმუშო და ყოველმხრივი საიმედო სამეცნიერო აპარატით: ძეგლში ტერმინის ხმარების არც ერთი შემთხვევა არაა გამორჩენილი, ყველა ფორმა ზუსტადაა აღნუსხული და გამოტანილი საძიებელში.

განსახილველ თარგმანს, შეიძლება ითქვას, რამდენადმე საეტაპო მნიშვნელობაც ენიჭება — იგი ერთგვარად განსაზღვრავს შემდგომი ამგვარი თარგმანების სპეციფიკას. თარგმანი ძირითადად ორი პრინციპის მიხედვით შეიძლება — შედარებით თავისუფლად ანაღა ზუსტად, ზედმიწევნით. რამდენადაც საქმე სამართლის ძეგლის, კანონის თარგმანს შეეხებოდა, უპირატესობა მეორე გზას, დედანთან სიახლოვეს და მისი თავისებურების შენარჩუნებას მიეცა, თუნდაც ზოგან რუსულის სტილისტიკური სრულყოფილების ხარჯზე. თარგმანი რაც უნდა ზედმიწევნითი იყოს ახსნა-განმარტებითს ელემენტს მაინც შეიცავს ამავე დროს, თვითონ სამართლის მცნიერება და პრაქტიკაც კანონის ახსნა-განმარტების თითქმის 20-მდე ხერხს იყენებს (სიტყვასიტყვითს, გრამატი-

კულს, დოქტრინალურს, ისტორიულს, ლეგალურს, ლოგიკურს, შეზღუდვითს, განვრცობითს, სისტემატიკურსა და ა. შ.). აქედან ცხადი ხდება სამართლის ძეგლის თარგმანს როგორი სიზუსტე მოეთხოვება. იგივე გარემოება საზღვარს უდებს ორიგინალური ტერმინების თარგმანსაც. ამიტომ ძნელია პატივცემული ე. ხოშტრიაის ყველაფერში დავეთანხმოთ. მისი წინადადებების ნაწილი შემდგომ გამოცემებში ალბათ გათვალისწინებული იქნება, მაგრამ ზოგი ახლაც უნდა უარყოთ. მაგალითად, რუსულ *виря-ს* ი ს ხ ლ ი ს არათუ სრულ, არამედ საერთოდ შესატყვისად ვერ მივიჩნევთ, რადგან *виря* საჯარო სამართლებრივი ფულადი ჯარიმა იყო ძირითადად თავისუფალი კაცის მკვლელობისათვის, ს ი ს ხ ლ ი კი უფრო ფართო გამოყენების სანქციას წარმოადგენდა და მთლიანად დაზარალებულს ეძლეოდა. არ იქნებოდა გამართლებული მ ს ა ჯ უ ლ ი ს თარგმანა *судья-დვე* მოსამართლის აგან განსხვავებულად. არასათარგმნელი ტერმინები შეიძლება სხვაც დასახელდეს.

ზოგ შენიშვნას გამოცემის გარეგანი მხარე იმსახურებს. ქართული სამართლის ძეგლის პუბლიკაციას აუცილებლად ქართული თავფურცელიც უნდა ჰქონოდა. აგრეთვე: „საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის“ გამოცემათა ნომერი „22“, კომისიის შემადგენლობა, „ქართული სამართლის ძეგლების“ სერიის ტომების ნომერი „I“, აღნიშნული სერიის რედაქტორი და წიგნის უშუალო რედაქტორები, — ყველა ეს ცნობა ისეა განლაგებული, რომ ადვილი გასარკვევი არ არის რა მეტ-ნაკლებ კავშირშია ისინი სახელდობრ ამ გამოცემასთან.

დაბოლოს, «*Законы Вахтанга VI*» „ისეთი წიგნია, რომელიც მკითხველთა ფართო წრეს გულისხმობს და ერთი-ორი წლის ვარაუდით არ უნდა გამოიცემოდეს. ამიტომ 3000-ანი ტარაყი მისთვის ძალიან მცირეა — წიგნი უკვე აღარ იშოვება.

ინსტიტუტის სამართლის სექტორის თანამშრომელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ტყეშელიძე: წიგნის შესავალში ავტორი ამბობს, რომ „ვახტანგის კორპუსი მთელი აღმოსავლეთი საქრისტიანოს სამართლებრივი ძეგლების ღირსშესანიშნავ კრებულს წარმოადგენს. ხოლო თვითონ მის კანონებს უეჭველად თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის სხვა ფეოდალურ კანონმდებლობათა შორის. ისინი (ვახტანგის კანონები) უაღრესად საყურადღებო საკვლევადიებო საგანია სამართლის საერთო ისტორიისა და შედარებით-ისტორიული სამართალმცოდნეობისათვის“ (გვ. 25). მაგრამ მათი ღირებულება ამით არ ამოიწურება. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ვახტანგის სამართლის ახლანდელი თარგმანი გზას უხსნის მას საერთოდ სამართლის მეცნიერებაში და იგი დაიჭერს მასში ღირსეულ ადგილს როგორც, ერთი მხრივ, ბევრი საკვლევითი პრობლემის შემცველი, ხოლო, მეორე მხრივ, წყარო, რომელიც ძვირფას მასალას იძლევა მრავალი საერთო-სამართლებრივი ინსტიტუტის, მისი კონსტრუქციის ისტორიულად ჩამოყალიბების წარმოსაჩენად და გასათვალისწინებლად.

თბილისის უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგე იურ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ივ. სურგულაძე: ვახ-

ტანგ VI სამართლის განსახილველ თარგმანში დაძლეულია დიდი სირთულე, რომელიც ნაკლებად ცხადი, ბუნდოვანი ადგილების ახსნასა და გამართულად წარმოდგენას გულისხმობდა. ჩვენს გამოქვეყნებულ რეცენზიაში⁴ ნაჩვენებია ისეთი ადგილები. იქვე აღნიშნულია, თუ ზოგიერთი მათგანის გაგებაში განსხვავებულ თვალსაზრისზე ვდგავართ. რეცენზიაში ნათქვამის აქ გამეორება ზედმეტი იქნება, იკმარებს ერთი სხვა, რეცენზიაში განხილულის ანალოგიური შემთხვევა წარმოვადგინოთ. 70-ე მუხლი ქმრიან ქალთან უშუდგვო „გააშიყებას“ ენება, ხოლო სანქციას მხოლოდ „მაჰანკლისათვის“ აწესებს, თუმცა მაჰაკლობა მანამდე ნახსენებიც არ ყოფილა. ამრიგად, გამოდის, რომ მთავარ დამნაშავეს, თვითონ გამაშიყებელს, სასჯელი არ ედება. ასეთ აშკარა ხარვეზს გამართვა სჭირდებოდა. მაგრამ დამაფიქრებელი და საკამათო ადგილები სულ რომ არ იყოს, არც ის შეიძლება და, უნდა ითქვას, არც ივარგებდა, — ქეშმარიტება მსჯელობაში ირკვევა: საერთოდ კი უნდა ვალიართ, რომ დე ფურცელადის წიგნის გამოცემით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა.

რასაკვირველია, სასურველი იყო ძეგლის გამოცემა ქართულ-რუსულად, მაგრამ, სამწუხაროდ, დედნის აკადემიური, ყველა ან უმრავლესი ნუსხით დადგენილი ტექსტი ჯერ არ გავაჩნია. ასეთი მუშაობის განხორციელება კი წარმოგვიდგენდა ვახტანგის სამართლის სახეს მისი საუკუნუნახვერიანი მოქმედების განმავლობაში.

თბილისის უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის წევრმა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. კე-კელიამ აღნიშნა ვახტანგ VI სამართლის რუსულად თარგმნისა და გამოცემის დიდი მნიშვნელობა. მისი აზრით, კარგი იქნებოდა შესავალში, თუნდაც რამდენიმე ლიტყვით, ნაჩვენები ყოფილიყო გზა, რომელიც ქართულმა სამართალ-შემოქმედებამ XVIII საუკუნეში, ვახტანგის შემდეგ, განვლო, ხოლო გლოსარიუმში ცოტა უფრო გაშლილიყო ბჭის ცნების შინაარსი და ტერმინ მოსამართლის ძველი გაგების როდინდებობის საკითხი.

პაექრობის დასასრულს თავისი შთაბეჭდილება გამოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა ა. აფაქიძემ. მან დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებაში გაიშალა საქმიანობა ჩვენი სამართლებრივი ძეგლების თარგმნა-გამოცემისა და ამით ეროვნული კულტურის ჯეროვანი წარმოჩენისათვის, აღნიშნა, რომ ამ საქმიანობას ყოველნაირად ხელი უნდა შეეწყოს; აგრეთვე გამოთქვა კმაყოფილება წიგნის განხილვის ნამდვილად მეცნიერული და მაღალი დონის გამო. მისი შენიშვნით, შესავალში, იქ, სადაც ნათქვამია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა ძველი წელთაღრიცხვის II—I საუკუნეებში წარმოიშვა, საჭირო იყო ამ ცნობის წყაროს მითითება.

⁴ „ვახტანგ VI სამართლის წიგნის ახალი რუსული თარგმანის გამო“, ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1981, 1.



პაექრობის ყველა მონაწილემ მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ დ. ფურცელაძის წიგნი წარდგენილ უნდა იქნეს სამეცნიერო შრომებისათვის დაწესებული შესაფერისი სახელობითი პრემიის მოსაპოვებლად.

საბოლოოდ სიტყვა წარმოთქვა დ. ფურცელაძემ: წიგნის განხილვა დღევანდელი კრების მიერ ისეთი საბუთიანობით და კეთილმოსურნეობით წარიმართა, რომ სათქმელად თითქმის ისლა რჩება, გულითადი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც თავისი აზრის გაზიარებით პატივი დავედო, და ვისმა დასწრებამაც ჩვენი საქმისადმი საზოგადოების გულისხმიერი დამოკიდებულება გაგვიძლავნა.

რჩევა წინადადებანი, რაც დღეს გამოითქვა, მეტად ყურადსაღებია. ზოგ რასმე აქედანვე ვიზიარებთ. მაგრამ ბევრი საკითხი აგრე იოლად, ახლანდელი პაექრობითვე ვერ გადაწყდება, და როგორც პატივეცემულმა ე. ხოშტარიაშვილმა ბრძანა კადევ, კვლავ ბეჭითი დაკვირვება და თათბირი სჭირდება. და თუ მაინც ცოტა რამ საპასუხო ახლავს არის, მაინცდამაინც შედაეებად ნუ ჩამოგვეერთმევა,—ან იმისათვის იქნება, რომ საქმის სირთულეს ალღო აეღოს, ანდა განმარტებად ითქმის.

წამოჭრილ საკითხებს შორის მთავარი და ყველაზე დასაფიქრებელი ქართული ტერმინების თარგმან-უთარგმნელობის საკითხია, რომელიც პატივეცემული ე. ხოშტარიაშვილის მოხსენების კვანძს წარმოადგენს.

ჯერ ორი ზოგადი მოსაზრება ამის თაობაზე. უთარგმნელად დატოვებულ 76 ტერმინს შორის ძლივს 12—15 გამოირჩევა, რომ შეიძლებოდა ცოტად თუ ბევრად უვნებლად თარგმნილიყო, ეს კი, იმავე რუსების თქმისა არ იყოს, „ამინდს არ დაგვიყენებდა“. მეორე მხრივ, ძსიც გადასაწყვეტია, საერთოდ რა სჯობია, ის, რომ შინაარსი იოლად აღიქვებოდეს და ტერმინების საგანგებოდ ჩაკვირვებას არ მოითხოვდეს, თუ მკითხველი დროდადრო იძულებული უნდა ხდებოდეს გლოსარიუმს მიმართოს.

ახლა სულ ორიოდე მაგალითი. ძეგლში მსაჯული სულ ექვსგანა ვეექვს: ერთგან ღმერთზია ნათქვამი და ერთხელაც ქვეყნის უზენაეს ხელისუფალზი; დანარჩენ შემთხვევებში ან „მეფე“ — „ბატონთან“ ანდა „მოსამართლესთან“ ერთად, მეტწილად „და“-თი დაკავშირებულად იხსენიება. მისი მოსამართლისაგან გამოირჩევა მართლაც აღვილი როდია და უკვე ამიტომაც სჯობია *судья*-დე არ გადმოიციეს. ხოლო მთავარია მე-5 მუხლის კონტრასტი, „სამართალში თუ უფროსმა მოსამართლემ (—მდივანებგმა, სერთოდ სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ?) და მსაჯულმან არ კითხოს...—ო. რუსულად ეს გამონათქვამი, თუ ორსავე ტერმინისათვის *судья*-ს გამოვიყენებდით, იქნებოდა: „... старший судья и (или?) судья...“ და მაშინ სამართლის საბუთის გარეშე მსაჯულს რაღაც დაბალი ხარისხის, ხელქვეითის მოსამართლედ დაგსახავდით.

გლები რომ *крестьянин*-ად თარგმნილიყო, ძირითადი სოციალურ ტერმინების წყებაში ეს ერთდღერთი გარუსტლება იქნებოდა და ცრთვანობას დაარღვედა: თავად—азнаур—мсахур—крестьянин!

ფათვრაკი, ვითარცა ბრალის წრის თავისებური ცნება, გაუფრთხილებლობას, უფრო მსუბუქ გაუფრთხილებლობას, და შემთხვევას —

casus-ს მოიცავს. იგი ძველთაძველი წარმოშობისაა, ი შო ბ რ ი ვის ხით უკვე ექვთიმე მთაწმიდელის „მცარე სჯულის კანონ-შია ჩამოყალიბებული და ქართულ სამართალს ბოლომდე გამოჰყვა. ახლა მისი თარგმანა ზედმიწევნით შესატყვისის უქონლად, მეტადრე ისეთი ყოფითი სიტყვებით, როგორცაა ненароком, нечаянно, და მისთ., ჩვენი ერთგული სისხლის სამართლის ამ ნიშანდობლიობის წაშლა იქნებოდა.

მართალია, лишение состояния и отечества-ს ტრამინად სისხარტე აკლია, მაგრამ обзвонение გაღარბების მხოლოდ ცალმხრივი თარგმანი იქნებოდა, რადგან ეს სასჯელი ღარბობა-ყარბობას, ე. ი. გაძევებას, გადახვეწას, გადაკარგვას, უთვისტომობასაც შეიცავს.

სასამართლო ორთაბრძოლის დროს სალოცავი „წიგნი“ „ყელზე ან შუბის ბუდესთან შეაბან“-ო (მუხ. 7). შუბის დასაყრდენ „ბუდეს“ რუსულად башмак-ი ეწოდებოდა, მაგრამ იგი უზნავთან იყო და ლოცვის შუბმა ან „ყელზე“, ან უზნავთან, ფეხთან ცოტა არ იყოს გვეჩოთირა, თუნდაც чехол-ის მაგივრად гнездо გვეხმარა, რომლითაც დალი (Лаль, I) ამ башмак-ს განმარტავს.

პატივცემულ აკად. ი. დოლიძეს გამონათქვამში „კალმან გასამართლოს“—„да рассудит... меч“ (მუხ. 40) меч-ის ადგილას поединок-ი უჩრევნია, რადგან „კვბალში გატანება“ სასამართლო ორთაბრძოლას — поединок-ს ნიშნავსო. მაგრამ პატივცემულ მ. კეკელიას დასაჯლეთ საქართველოში დამოწმებული აქვს „შუბზე... გატანება“ და აგრეთვე — „შუბმა ამართლოს“-ო. მაშასადამე, ს. სამართლო ორთაბრძოლა გაიზრებოდა და ითქმოდა შესაბამისი საჭურჭლის მიხედულობით. ესეც არ იყოს, „კვბალმან (შუბმა) გასამართლოს („ამართლოს“) მართლმსაჯულებითი ხატოვანი თქმაა.

პატივცემული ივ. სურგულაძის რეცენზიაში განხილული საკითხების გამო ჩვენ, იმედია, კიდევაც გვექნება შემთხვევა ერთმანეთს ვესაუბროთ, ახლა კი აქ მყოფი საზოგადოების საუწყებლად მოტანილი 70-ე მუხლის თაობაზე ვიმსჯელებთ, მით უფრო, რომ იგი როგორც დედნის თითქოსდა გაუმართავი ადგილი ერთგვარად დამახსიათებელია. მართალია, აღნიშნული 70-ე მუხლი თვითონ გამარწიებლის პასუხისმგებლობზე არას ამბობს, მაგრამ მომდევნო 71-ე სხვისი ცოლთან „გააშოყებასე“ ეხება და სამ შემთხვევას ასახავს: 1. „აშოყობას“ სქესობრივი კავშირიც მოჰყვა და ქმარი მოღალატე ცოლს გაეყარა — მოაშოყემ „მთელი“ სისხლი უნდა გადაიხადოს; 2. „აშოყობას“ ცოლის „წაგვრაც“ დაერთო — სანქციად მაინც „მთელი“ სისხლია; 3. თუ მოაშოყემ „აშოყობა“ კი აღიარა, ხოლო მისი უშედეგობა (მუხ. 70) ფიცით დაამტკიცა, „ბოზობის ნახევარი სისხლის“ გადახდა უწევს და, ამრიგად, კანონმდებელს იგი დაუსჯელად არ დაუტოვებია.

ვახტანგის სამართალი რედაქციულად უნაკლო არ არის, კანონმდებელი მკაცრ სტილისტიკურ დებეწილობას არ მისდევდა; ჩვენი სამართლის ძეგლები, და მათ შორის ვახტანგის სამართალიც, ყოველდღიური, იმ დროის, ვახტანგი იტყოდა, „მსოფლიოს სიტყვით“-აც კია დაწერილი. ამასთანავე ძველი საკანონმდებლო ტექნიკა თავისებურია, ახლანდელისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. სახელდობრ მას ახასიათებს კაზუსურობა და ამის გამო ხდება ხოლმე, რომ ერთი ნორმა რამდენსამე მუხლით გამოიხატება. ყველა ეს გარემოება მხედველობაში უნდა გქონდეს, როცა ესა თუ ის მოწესრიგება გაუმართავად ან ბუნდოვნად ძნელგასაგებად გვეჩვენება. უთუოდ თავის დროზე მისი შინაარსი

მეტწილად არაეის დაეჭვებდა. ძველი კანონის სწორი გაგებისათვის, რამდენადაც შესაძლებელია, იმ დროის ვითარებაში უნდა ვდგებოდეთ, მაშინდელ მართლშეგნებასა და ურთიერთობათა ხასიათს ვითვალისწინებდეთ.

პატივცემულმა აკად. წევრ-კორ. ა. აფაქიძემ ქართული სახელმწიფოებრიობის სიძველის დამადასტურებელი ლიტერატურული წყარო მოგვკითხა. ეს არის აკად. გ. მელიქიშვილისეული ნაწილი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომისა, სადაც დასკვნის სახით წერია, „ამრიგად, ძველი კოლხეთის სამეფო, რომელიც XI—VIII სს. არსებობდა ქართველი ტომების უძველეს სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა“-ო (გვ. 389).

დასასრულ, გვინდა კიდევ ერთხელ, დღევანდელი თავყრილობის წინაშე, გულითადი მადლობა მოვახსენოთ ჩვენს მხცოვან მეცნიერს აკადემიკოს ა. შანიძეს მისი გულისხმიერი რჩევა-დარიგებისათვის, აკადემიკოსებს შ. ძიძიგურსა და ი. დოლიძეს იმ ამავისათვის, რაც ჩვენი ნაშრომის გამოქვეყნებაში მიუძღვით, აგრეთვე წიგნის რედაქტორებს პატივცემულ გ. ჟორდანიასა და ი. ფუტყარაძეს, რომელთა თანამშრომლობაც მუდამ კეთილსახსოვრად გვექნება.

*

დასასრულ, აკად. ი. დოლიძემ მოკლედ შეაჯამა პაექრობის მიმდინარეობაში გამოთქმული მოსაზრებანი.

გ. ბურაშვილი

სხალი წიგნები:

- ა. გუნია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში.
- დ. დიასამიძე, სკკპ XXVI ყრილობა საკლმურნეო საკუთრების საერთო სახალხოსთან დაახლოების გზების შესახებ.
- ა. ჯიბუტი, თ. ქოჩიაშვილი, აგროსამრეწველო სინთეზის სოციალურ-ეკონომიკური წედვები.
- ხ. დარისპანაშვილი, წმინდა შემოსავლის წარმოების, განაწილებისა და გადაწილების რეგიონალური თავისებურებანი.
- ი. რუბინშტეინი, სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობის ეფექტურობა. შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლები.
- კაპიტალურ დაბანდებათა კვლევარბოების ეკონომიკური ეფექტურობის რეგიონალური პრობლემები; ავტორთა ჯგუფი.

სერის უახლოეს ნომრებში დაიბანაფება:

- ა. ბრეგვაძე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკური კავშირები მოძმე სოციალისტურ რესპუბლიკებთან.
- მ. ჯიბუტი, ღირებულების კანონი და საერთოკომუნისტური ეკონომიკური კანონები.
- ბ. კუნიცკა-მიხალსკა, თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი ღონისძიებანი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.
- ნ. ბაჩილავა, შობადობაზე მოქმედი დემოგრაფიული ფაქტორები საბჭოთა საქართველოში.
- ხ. როგავა, კანონიერების განმტკიცების საკითხისათვის.
- მ. კვარაცხელია, ჭალაჭ თბილისის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის საკითხისათვის.
- ს. გელაშვილი, მოსახლეობის მოთხოვნა და მისი პროგნოზირება.
- რ. ხაჩატუროვი, პროცესუალური სამართლის ნორმები X საუკუნეში დადებულ რუსულ-ბიზანტიურ ხელშეკრულებებში

6 28/14 6

დასი 85 კაპ.

ინდექსი

76196

